





ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘᲐ



US?WLAU G?MLAU

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐᲖᲔ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲐ

737473U 74 U72997 737473U 74 U72997

3ാനാം പാദ്യാട്രോപ്പെട്ടാം



იტარ-ტასმა გუშინ ცნობა გაავრცელა, ლიტველები თბილისში თამაშს უარობენ, ქვეყანაში არსებული დაძაბული მდგომარეობის გამოო. უმალ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძეს დავუკავშირდით ვითარებაში გასარკვევად.

"ლიტველებმა მართლაც შემოგვითვალეს, ხომ არ გადაგვეტანა მატჩიო, თუმცა ავუხსენით, რომ ქვეყანაში საშიში ვითარება არაა და უსაფრთხოების გარანტიაც მივეცით. ამის შემდეგ მათგან თანხმობა მივიღეთ. ასე რომ, მატჩი გაიმართება დაგეგმილ დროს", - გვითხრა ქავთარაძემ.

თლ დროს", - გვითხრა ქავთარაძემ. გამოითქვა ვარაუდი, რომ საქართველო-ლიტვის მატჩს, შესაძლებელი იყო, უმაყურებლოდ ჩაევლო, თუმცა ქავთარაძემ ესეც უარყო - როგორც წესია ყველაფერი ისე იქნება, ანუ მატჩს მაყურებელი დაესწრებაო.

მერა<u>ბ</u> მამულაშვილი

ᲠᲐᲒᲞᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐ<u></u>ᲢᲘ

മാന്ധ 3043ാന്ധ ഒ06ാന്ഡെ

საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფის პირველმა მატჩმა, წინასწარმა ფინალმა, მთავარი ფინალის ერთი მონაწილის ვინაობა გამოავლინა. რეგულარული გათამაშების გამარჯვებულმა "ლელომ" კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რაგბში შემთხვევით არაფერი ხდება და "ლიგამუსი" 18:14 დაამარცხა. "ლელო" საჩემპიონო ფინალში გავიდა, "ლიგამუსი" კი დღეს "ყოჩებსა" და "უნივერსიტეტს" შორის გამარჯვებულს დაელოდება და 19 ნოემბერს, კიდევ ერთხელ შეეცდება, ფინალის საგზური 13 მოიპოვოს...



ლელოს შეტევა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



&\$\delta\text{60}

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

www.pfl.ge

U21. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

べっしつのし ふりべっつぐり 3MWN 36&7 9733872WW

ᲛᲔᲠᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲒᲡ ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲔᲚᲝᲓᲔᲑᲐ

საძართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუშინ გამთენიისას ტრაბზონს გაემგზავრა, სადაც თურქეთის ნაკრე-ბის ბაზაზე მოემზადება რუსეთთან მოახლოებული მატჩისთვის. **პეტარ სეგრ-**ტი გუნდს პირველად დღეს ავარჯი-შებს.

უკვე გაცნობეთ ახალგაზრდულ ნაკრებს ფეხბურთელები რომ გამოაკლდნენ. "ვიპორგის" მცველმა გიორგი

მცველმა გიორგი ფოფხაძემ ხელი მოიტეხა. ეს სამწუხარო ცნობა გასულ უქმეებზე შევიტყვეთ. და-სანანია, რომ "დინამოს" ფეხბურთელეააიათია, როთ დინაძოს ფებაურთელე-ბი გურამ კაშია და გიორგი მერებაშვილი ტრავმების გამო ვერ წამოვიდნენ თურ-ქეთში. გიორგი ივანიშვილს პრობლემა აქვს და გათავისუფლება გვთხოვა, მას მომდევნო შესარჩევ ციკლშიც უწევს ახალგა ზრდულ ნაკრებში ასპარეზობა და გადავნყვიტეთ ახლა გაგვეთავისუფ-ლებინა. ტრავმის გამო გუნდს გამოაკლ-და დავით მჭედლიშვილიც", – "ლელოს-

მერებაშვილი გუნდს თურქეთში ვერ გაყვა, მაგრამ მისი თამაში რუსეთთან გამორიცხული არაა. "მერებაშვილი ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. გიორგი დაშავებულია, მაგრამ ხელაღებით ვერ ვიტყოდი, რომ ის რუსეთთან თამაშს ვერ შეძლებს. გადავწყვიტეთ თბილისში დავტოვოთ, სადაც ნაკრების ექიმ გოგიტა ლობჟანიძესთან გაივლის

სარეაბილიტაციო კურსს. არის შანსი, რომ მან შეძლოს რუსეთთან თამაში. მერებაშვილის საკითხს საქართველოში დაბრუნებისთანავე გადავნყვეტთ. იმედი მაქვს მანამდე გამოჯანმრთელე-ბას მოასწრებს", - განმარტა ახალგაზ-რდული ნაკრების მწვრთნელმა.


სეგრტმა გამოკლებულ ფეხბურ-თელთა ნაცვლად ნაკრებს ორი მობურ-თალი, რუსთავის "ოლიმპის" შემტევი ნახევარმცველი გიორგი კახელიშვი-

თან" საუბარში განაცხადა ნაკრების ლი და "მესხეთის" შუახაზელი თემურ მწერთნელმა პეტარ სეგრტმა. აფრიამაშვილი დაამატა.

რა წარმოდგენა აქვს მეტოქეზე პეტარ სეგრტს და როგორ აფასებს მომავალ დაპირისპირებას?

"რუსეთს დღემდე ყველა მატჩი მოგე-ბული აქვს, თანაც ისე, რომ გოლი არ გაუშვია. ტრავმების გამო გარკვეული პრობლემები შეგვექნა, მაგრამ სასურველი შედეგის მისაღწევად მაქსიმუმს გავიღებთ. ჩვენ გვინდა რუსეთს არა მარტო პირველი გოლი გავუტანოთ, არამედ პირველი ქულები დავაკარგვინოთ. კარგად მესმის თუ რას ნიშნას რუსეთის ნაკრებთან თბილისში გამარჯვება. ეს უბრალო სპორტულ წარმატებაზე დიდია, მაგრამ ჩვენ ფეხბურთს ვემსახურებით და მატჩსაც მხოლოდ სპორტულ ჭრილში განვიხილავთ", - ამბობს მწვრთნელი.

დავით ცაგაძე



პეტარ სეგრტი



ლევან ცქიტიშვილი

65356579998656635663666

3ლ3७८ **७**Ო३**३**ᲘᲝᲚᲔᲠᲘ ჯეᲠ ᲐᲠ ᲘᲧო დანიშნული "კაიზერსლაუტერნის" საპა-ტიო სპორტულ მრჩევლად, ლევან ცქი-ტიშვილის აყვანა რომ ურჩია გუნდის ხელმძღვანელებს. მაშინ თემას გაგრძელება არ მოჰყოლია. თუმცა, როგორც ჩანს საკითხი დლის სწესრიგიდან არ მოხსნილა. ამის დასტური გუშინ "კიკერში" გამოქვეყნებული სტატია გახლავთ. "კაიზერსლაუტერნის საპატიო სპორტულ მრჩევლად კლაუს გოპმიოლერის დამგკიცებამ გუნდის მთავარი მწვრთნელი კიეტილ რეკდალი ფრიად გაახარა. რეკდალის თქმით, მას ისეთი გამოცდილი სპე-ციალისტი უმაგრებს ზურგს, როგორიც კლაუს ტოპმიოლერია. დღეს ტოპმიოლერი გერმანიიდან თბილისს გაეგზავრება. მის ნაკრებს უახლოეს დღეებში ორი მატჩი ელის, ამხანაგური ყატართან

და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ლიტეასთან. ამ მატჩების შემდეგ ტოპმიოლერი ისევ "კაიზერსლაუტერნზე" გა-დაერთვება. მისი აზრით შემადგენლობას გაძლიერება ესაჭიროება. უპირველესად კი გუნდის შემტევი პოტენციალია მოსამძლავრებელი..."ლაუტერნის" პოტენციურ ახალწვეულად საქართველოს ნაკრეპის ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი მიიჩნევა." მასალის ბოლო ქვეთავი ცქიტიშვილს ეძღვნება. "*ჩამოვა ცქიტიშვი*ლი?", - სვამს კითხვას "კიკერი'

"სხვებთან ერთად ეროენული ნაკრე-ბის უახლოეს მატჩებში ლევან ცქიტიშვილიცაა გამოძახებული. შევეცდები ის დავარწმუნო, რომ "კაიზერსლაუტერნში" მისი გადასვლა ამ ეტაპისთვის კარგი ვარიანტია. ცქიტიშვილი მაღალი დონის ფეხბურთელია. მას არაერთი კარგი თვი-

სება აქვს, გამოცდილია და "კაიზერსლაუტერნის" გაძლიერებაც შეუძლია", - პასუხობს კლაუს ტოპმიოლერი

ყოველივე ამის შემდეგ ლევან ცქიტიშვილთან დაკავშირება გადავწყვიტეთ. ნუხელ მისი მოხელთება ვერ მოვახერხეთ. დღეს ის ნაკრებთან ერთად ივარჯიშებს და ამ თემაზეც გავესაუბრებით. თუმცა გუშინ ცქიტიშვილების ოჯახში დაგვიდასტურეს, რომ "კაიზერსლაუტერნსა" და ლევანს შორის მოლაპარაკებები სანაკრებო მატჩების შემდეგ დაიწყება.

დიდი შანსია, ცქიტიშვილმა "ლაუტერნთან" კონტრაქტი ზამთრის სატრანსფერო პერიოდისას გააფორმოს.

დავით (35554)

യാദാന്ത്രാക്ര

97497939 wallftuesum manger and กลว๛ะกลว

17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მეკარე, გიორგი ბახტაძე ბერძნულმა "ოლიმპიაკოსმა" თავისთან რომ მიინვია, გასულ კვირას ვნერდით. ბერძნებს ახალგაზრდა ქართველ მეკარესთან ორწლიანი კონტრაქტის გაფორმება სურდათ. ხელშეკრულება მხარეებს შორის ჯერ ხელმოწერილი არაა, მაგრამ შეთანხმება მიღწეულია და "ოლიმპიაკოსში" ბახტაძის ჩარიცხვის საკითხი პრაქტიკულად გადაწვეტილია. რამდენიმე დღეში ათენში ბახტაძის აგენტი დავით ქარაული ჩავა და კონტრაქტიც გაფორმდება.

მანამდე კი გიორგი ბახტაძე "ოლიმპიაკოსში" ვარჯიშს შეუდგა. პირველ ვარჯიშს მთავარი გუნდის თავკაცმა და მეკარეთა მწვრთნელმა მიადევნეს თვალი. ახალგაზრდა ქართველმა მეკა-რემ მათი მოწონება დაიმსახურა. ბახ-ტაძე ახლა "ოლიმპიაკოსოს" დუბლებ-ში ვარჯიშობს და მწვრთნელთა თქმით წინიბული შანსაცა აქის ალბლიპის მთა ჩინებული შანსიც აქვს, დუბლების მთავარი მეკარე გახდეს.

ის პოტენციურ თანაგუნდელებთან ერთად მადრიდის "რეალთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩსაც დაასწრეს კლუბის ხელმძღვანელებმა. გარემოს შეეჩვიოსო, ამგეარად ახსნეს გადაწყვეტილება ბერძნებმა. კონტრაქტის სავარაუდო გაფორმებაზე კი ალბათ, ისიც მეტყვე-ლებს, რომ მას კლუბმა ბინა ხანგრძლივი ვადით დაუქირავა.

დავით (355540)



რგი ბახტაძე





3366360.




www.pfl.ge

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲨᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲨᲔᲒᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ

四335693 3)K3)6@3ლ%3 **3**3%3LN3



ᲓᲐ3ᲘᲗ გოლქ3ᲐᲫᲔ ლიტვასთან წინასამატჩო განაცხადში მოხვდა. სიმართლე გითხრათ, ინტერვიუც ამასთან დაკავშირებით გვქონდა ჩაფიქრებული, თუმცა მოულოდნელად ტოპმიოლერის გეგმა შეიცვალა - გაფართოებული სიიდან "ამერის" ცენტრალური ნახევარმცველის გვარი

- მე აღარ ვარ სიაში - გვითხრა და-തന്നു.

- რატომ, დაშავდით?

- არა, ჯანმრთელი ვარ, მაგრამ არ ვიცი სიიდან რატომ ამომიღეს. როგორც შევიტყვე, თავდაპირველი სია შეიცვალა. გამოძახებულთა შორის მხოლოდ ერთი ამერელი დარჩა, გიორგი დეკანოსიძე. ყველა დანარჩენი ისევ გუნდში ვივარჯიშებთ, მეც, დოლიძეც და ტატანაშვილიც.

- კაცმა რომ თქვას, ოფიციალურ შეხვედრებში ტოპმიოლერი ისედაც არ გათამაშებდათ.

- სულ რაღაც რვა წუთი ჩავიცვი ნაკ-

ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲔᲠᲘ

ვილის გამოჩენა გახლდათ.

რების ფორმა, ისიც აზერბაიჯანთან ამხანაგურ შეხვედრაში. ეტყობა, ახლა საჭიროდ აღარ ჩამთვალეს. თუმცა რა დასამალია, ვერც გამოძახების მიზანი გავიგე და ვერც სიიდან ამოღების. თამაში და თავის გამოჩენა ვერ მოვახერხე, მაგრამ ჩემ დროს დაველოდები. იქნებ, კვლავ გამომიძახონ, ამის იმედი მაქვს.

ნაკრებში ვარჯიშის დროს საშუ ალება მოგეცათ, ლეგიონერებთან რეალური განსხვაება დაგენახათ. ჩვენი ჩემპიონატის მოთამაშეებს ბევრად აღემატებიან?

- რომ იცოდეთ, ისეთი სხვაობა ნაღდად ვერ დავინახე, შეკრებამდე რომ წარმომედგინა. რა თქმა უნდა, კარგი ფეხბუთელები არიან, ჩვენზე მაღალი კლასისანი. ალბათ, განსხვავების მიზეზი მათი უკეთეს ჩემპიონატში თამაშია. ამით კლასიც აიმაღლეს და უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ.

- "ამერზეც" ვისაუბროთ. სეზონის დაწყებამდე "ბელხატოვთან" ისეთი ფეხბურთი აჩვენეთ, ხალხმა იფიქრა, საქართველოში ყველას იოლად გაუმ-

ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კლავდებოდით. ამას ვინ ჩივის, სამეულში მოხვედრაც საეჭვო გაგიხდათ. მიზეზი რა არის?

- "ლოკომოტივთან" წაგებამ აგვრია. - ერთმა წაგებამ ასე იმოქმედა?

დიახ, რატომლაც მას შემდგ ვერ ავეწყვეთ. ისე მართალი ხართ, "ბელხა-ტოვთან" ისე ვთამაშობდით, ვიფიქრე, საქართველოში ჩვენთან შანსი არავის

ბოლო ტურში ახალციხეში რომ მოვიგეთ, ცოტა ამოვისუნთქეთ. თამაში ნაგვივიდა და უკეთესობა აშკარად დაგვეტყო. მგონი, ახლა "ამერი" საკუთარ შესაძლებლობას გამოავლენს.

ერთი, რაც მადარდებს, უზარმაზარი პაუზაა. ტურებს შორის ორკვირიანმა პაუზამ სათამაშო ტონუსიდან ამოგ-

- რას იზამთ, საგანგებო მდგომარეობას ფეხბურთის გამო ვერ შეცვ-

- საშიშიც რა იყო? ერთი "ამერის" სტადიონზე დადის 1000 კაცი, ყველა დანარჩენ შეხვედრას თბილისში 100-150 კაცი თუ ესწრება. ეს არაა საშიში რიცხვი და მგონია, რომ ტური არ უნდა გადაედოთ.

- წლევანდელ ჩემპიონატზე რას იტყვით, შარშანდელს ჯობია?

პირდაპირ გეტყვით, შარშანდელი უფრო მომწონდა. უფრო დაძაბული იყო და ჩემპიონობისთვისაც გაცილებით მეტი გუნდი იბრძოდა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, ჩვენი ჩემპიონატის დონე უკან-უკან მიდის.

ერთადერთი იმის იმედი მაქვს, რომ პირველობის დასასრულს, იქნებ, ოდნავ მაინც დაიძაბოს თამაშები, თორემ ახლა ძალიან მდორედ მიდის ჩემპიონატი.

ეს ჩვენი ბრალიცაა. ჩემპიონატისთვის მხოლოდ "ზესტაფონი" და "დინამო" იბრძვიან. ერთადერთი "ამერს" შეუძლია მათ დავაში ჩაერიოს.
- და ფიქრობთ, რომ ეს რეალურია?

"დინამოც" და "ზესტაფონიც" უკვე საკმაოდ დაწინაურდნენ.

- კი, მაგრამ მეორე წრეში ორივეს რომ მოვუგოთ და ქულები არ დავკარგოთ, ჩამორჩენასაც აღმოვფვრით. "ამერს" ამის შესაძლებლობა ნაღდად აქვს.


- გუნდი იქით იყოს და პირადად რა მოგივიდათ? იგივე პოლონელებთან მატჩისას ხალხი ახალ, კარგ ფლეიმეიკერზე ალაპარაკდა, მაგრამ ჩემპიონატში მაშინდელ ბოლქვაძეს არ ჰგავხართ.

 - ეს მეც ვერ ამიხსნია. ნაღდად ვერ ვიტყვი, რომ ჩავარდნა მაქვს. როგორც თამაშობს გუნდი, მეც ისეთი გაწყობით გავდივარ მოედანზე.

- ე.ი. საჭირო გაწყობა დაკარგეთ.

არა. თავად ხომ ვიცი, როდის როგორი განწყობა მქონდა. შარშანდელზე ნაკლები მონდომება არ მაქვს. ახლა რომ დავრბივარ, ასე არასდროს მირბენია. ბოლოს და ბოლოს, ნაკრებში მიმიწვიეს და მეტი მომეთხოვება. თუმცა რაღაც ვერ გამოდის. ალბათ, ესეც

ᲛეᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ



ძმა ძმისთვისაო, ლიტვისთვის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

amaanmedan adeel

ᲚᲘᲢᲕᲐᲡ ᲰᲐᲘᲜᲪᲘ ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲐᲕᲡ

პლაუს ტოპმიოლერი და მისი თანაშემწეები დღეს გამთენიისას ჩამოფრინდნენ თბილისში. დღესვე ნაშუადღევს მწვრთნელები ნაკრებს ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეკრებენ. 18 საათზე კი გუნდი ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე პირველ ვარჯიშს ჩაატარებს.

ნაკრების შემადგენლობაში არანაირი ცვლილება არაა. გუნდი ხვალაც თბილისში ივარჯიშებს, ზეგ დილით კი დოჰას გაფრინდება, სადაც 16 ნოემბერს ყატარის ნაკრებს შეხვდება ამხა-ნაგურ მატჩში. შეხვედრა დოჰაში თბილისის დროით 20 საათზე დაიწყება.

დაბოლოს, საქართველოში ჩამოსვლამდე, 17 ნოემბერს ლიტვა უკრაინას უმასპინძლებს. ამ მატჩს ჰაინც ტოპმიოლერი დაესწრება და ეროვნული გუნდის თავკაცს მეტოქეზე საჭირო ინფორმაციას მიაწვდის.

დავით (333343)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ **ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜ**Ა&Ი

a01335KN 8360 **Շ**ՐԻՐԻ **N**36383

საძართველოში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, ეროვნული ჩემპიონატის მატჩები გადადებულია. კერძოდ, ვერ მოხერხდა მე-11 გურისა და თასის ჯგუფური ეტაპის ერთი გადადებული მატჩის (ბათუმი-ბორჯომი) ჩატარება.

პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტს ამ შეხვედრების გამართვის თარილი ჯერ არ დაუდგენია, მაგრამ სავარაუდოდ, მე-11 ტური დეკემბრის პირველ რიცხვებში დაინიშნება. შეგახსენებთ, ამ ტურში ორი მეგად პრინციპული მაგჩია დანიშნული -'დინამო"-"ზესტაფონი", რომელმაც პირველი წრის გამარჯვებული უნდა გა-მოავლინოს და "ამერი"-"ვიტ ჯორჯია".

მე-13 ტური 1-2 დეკემბერსაა დანიშნული, "ფოლკსვაგენის" სუპერთასის მატჩი კი 8 დეკემბერს ზუგდიდში,

"ოლიმპსა" და "ამერს" შორის უნდა გაიმართოს. ალბათ, პფლ მე-11 ტურს ამ შუალედში, შუა კვირაში დანიშნავს.

20 და 21 ნოემბერს, შესაბამისად საქართველო-რუსეთის ახალგაზრდულ და საქართველო-ლიტვის ეროვნულ ნაკრებთა მატჩები ყოველ მიზეზგარე-შე ჩატარდება, ამის შემდეგ კი შიდა ასპარეზზე ასეთი კალენდარია:

23-24 6/10380%ก

ᲠᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔ-12 ᲢᲣᲠᲘ

27 6Mวองวสก

ᲗᲐᲡᲘᲡ **Ჯ**ᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲔᲢᲐᲞᲘᲡ ᲛᲔ-6 ᲢᲣᲠᲘ

1-2 ๆวิวิวิสิริวิศัก

ᲠᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲔ-13 ᲢᲣᲠᲘ

UMCQECFC 8 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲡᲘ.

ლევან ჯანეზაშვილი

<u>ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ</u> 86301463CNI.

3:ერ უცნობია, დატოვებს თუ არა ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მალხაზ ასათიანი მოსკოვის "ლოკომოტივს", სამაგიეროდ, უკვე გაირკვა, რომ რკინიგზელებს ამიერიდან სხვა თავკაცები ეყოლებათ. პრეზიდენტი თ მთავარი მწვრთნელი **ანატოლი ბიშოვეცი** არასახარბიელო შედეგების გამო რუსული რკინიგზის შეფებმა თანამდებობიდან დაითხოვეს. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ იაკუნინმა სიომინს რიკინიგზის სპორტული მრჩეველის ადგილი შესთავაზა. სიომინის პასუხი ჯერ უცნობია. გუშინ მან "ლოკომოტივის" გულშემატკივრებს სეზონის ჩაგდებისთვის ბოდიში მოუხადა.
სიომინის დათხოვნის მთავარი მიზეზი ბიშოვეცის მთავარ მწვრთნელად და-

ნიშვნაა. პრეზიდენტი მწვრთნელს ბოლომდე ენდო, მაგრამ კლუბის შედეგები ვე-რაფრით გამოსწორდა. ბიშოვეცთან ერთად, "ლოკომოტივიდან" მისი ასისტენტები, სერგეი გერასიმეცი, ვლადიმირ ლიუტინი და ვა<mark>სილი კულკოვიც</mark> წავიდნენ. აი, აეოგეი გეოანისტეცი, ულაციას ფუნქციებს დროებით დუბლების თავკაცი **რინატ** გუნდის მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს დროებით დუბლების თავკაცი **რინატ** ბილიალეტდინოვი შეასრულებს, რომელიც "ლოკომოტიეის" ნახევარმცველის, დინიარ ბილიალეტდინოვის მამაა. დროებითი მწვრთნელი გუნდს უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ორ დარჩენილ მატჩში უხელმძღვანელებს

ლოკომოტივის" პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი დროებით ვიცე-

პრეზიდენტი ალექსეი კირიჩეკი გახდა.

ლევან 3% 60% ბშველე



ასეთ მდგომარეობაში "რუბინის" განაცხადში მისი მოხვედრა მოულოდნელი იყო. როგორც გავარკვიეთ, ეს ნაბიჯი "რუბინის" მწვრთნელმა **ყურბან ბერდიევმა** იძულებით გადადგა. რევიშვილის დაშავების შემდეგ მეორე მეკარე თურქმენეთის ნაკრების წევრი პაველ სარჩიკი გახდა. შუააზიელებმა ის ნაკრების თამაშისთვის გამოიძახეს და ბერდიევმაც არტიომ ლავროვის ან დმიტრი კორტნევის დაყენებას, ისევ ნაავარიევი რევიშვილის ნდობა ამჯობინა.

თუმცა ნუკრი თავს ცუდად გრძნობს და ღმერთმა უწყის, მთავარი მეკარე **ალექსანდრ კოლინკო** რომ დაშავებულიყო,

მოედანზე შეიყვანდა?

მერა<u>ბ მ</u>ამულაშვილი





328F3EU



ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲒᲔᲒᲘ

www.pfl.ge



16 ᲓᲐ 21 6ᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ, შესაბამისად ყატართან და ლიტვასთან მატჩებისთვის კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ გუნდში რამდენიმე ახალწვეულს უხმო, რომელთაგან ერთ-ერთი "ვიტ ჯორჯიას" 22 წლის ფორვარდი ნიკა გელაშვილია.

გელაშვილი 2005-06 წლების სეზონში გამოჩნდა "ვიტ ჯორჯიას" პირველ გუნდში და მაშინვე მიიქცია ჩვენი ნაკრებების გერმანელ მწვრთნელთა ყურადღება - **რალფ მინგემ** ის 21-წლამდელთა ნაკრებში მიიწვია.

ნიკა წინა სეზონშიც რიგიანად თამაშობდა, თუმცა მეორე წრისთვის იქიდან აიბარგა და ბელგიას მიაშურა. გელაშვილის ტრანსფერი "ვიტ ჯორჯიასგან" რევაზ ჩელებაძემ და არველოდი ნანიკაშვილმა გამოისყიდეს. გელაშვილმა ბელგიაში რამდენიმე კვირა დაჰყო, "ვიტ ჯორჯიამ" კი უმისოდ ჩაამთავრა სეზონი.

საამსეზონოდ გელაშვილს საქართველოში და "ვიტ ჯორჯიაში" დაბრუნება მოუნია, თუმცა ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის დასრულების შემდეგ ის ისევ ბელგიაში მიდის.

"ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რომელ ბელგიურ გუნდში ჩავირიცხები. თუ ეს "ბრიუგეში" ვერ მოხერხდა, არის სხვა ვარინატებიც. იმედია, ისევ საქართველოში დაბრუნება არ მომიწევს" გვითხრა ნიკამ.

გელაშვილს მიაჩნია, რომ თუ 16 ნოემბერს ყატართან კარგად ითამაშებს, ლიტვასთან სამატჩო განაცხადში მოხვდება.

"სასიარულოა, ნაკრებში რომ გამომიძახეს. ახალწვეული კი ვიქნები, მაგრამ ამის გამო ფსიქოლოვიური ზეწოლის ქვეშ არ მოვექცევი. ნაკრებში ისეთი ადგილი მინდა დავიმკვიდრო, როგორც ეს შოთა არველაძეს ჰქონდა" - ამბიციურად არის განწყობილი გელაშვილი.

ნიკა თელაველია და მასზე არანაკლებ ამბიციური თელაველი მეგობარიც
ჰყავს - ის და სანდრო იაშვილი ბავშვობიდან მეგობრობენ და თელავში თანაგუნდელებიც იყვნენ, თუმცა თელავის
"კახეთში" ისინი კონკურენტები არ ყოფილან - სანდრო ფორვარდი იყო, ნიკა
კი ნახევარმცველი. "ერთად გაზრდილები ვართ და მე და სანდრო ახლაც ვმეგობრობთ. ჩვენი მწვრთნელი კი ნოშრე
კაციტაძე იყო" - გვითხრა გელაშვილმა.

სხვათა შორის, იაშვილიც იყო ვიტჯორჯიელი თბილისის "დინამოში" გადასვლამდე, თუმცა "ვიტ ჯორჯიაში" ის და გელაშვილი თანაგუნდელები არ ყოფილან. ნიკას მიაჩნია, რომ ამ დროისთვის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფორვარდი ბოლნისის "სიონის" კამერუნელი ერიკ რომეო ჩასემია. "ვიტ ჯორჯიაზე" კი ამბობს, მხოლოდ ჩვენ მოვახერხეთ "დინამოსთვის" და "ზესტაფონისთვის" ქულების ართმევა, ხოლო "ვიტ ჯორჯია"
სტაბილურად რომ ვერ თამაშობს, ეს
უიღბლობის ბრალიც არისო.

თავის საუკეთესო თვისებად გელაშვილი სისწრაფეს მიიჩნევს და ამბობს, ახლა უფრო სტაბილურად ვთამაშობ ვიდრე მაშინ, როცა ახალგზარდულ ნაკრებში მიწვევდნენო. "ვიტ ჯორჯიამ" ამ ჩემპიონატში "დი-

"ვიტ ჯორჯიამ" ამ ჩემმიობატში "დინამოს" პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი მარცხი აგემა და ვიტელთა ნარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა გელაშვილის თამაშმა. სწორედაც მან წააქცევინა თავი დინამოელ მილოშ კრშკოს საპენალტედ და ვიტელებმაც ამ თერთმეტმეტრიანით გარტანეს გამარჯვების გოლი.

"ამ თამაშს კლაუს ტოპმიოლერიც ესწრებოდა და ალბათ ამიტომაც გამომიძახეს ნაკრებში" - ვარაუდობს გელაშვილი

დავით თავართძილაძე

436340635MG 6796340635MG 43676743

პბხბ (ცხადაძის ხელმძღვანელობით შარშან ბოლნისის "სიონი" საქართველოს ჩემპიონი გახდა, შარშანწინ ცხადაძის ხელში "დინამომ" იზეიმა პირველობა, ახლა კი ცხადაძე არც ერთ გუნდს არ წვრთნის და მწვრთნელობის გაგრძელებას მეზობელ ქვეყანაში აპირებს.

ცხადაძეს რამდენიმე საკითხზე ვესაუბრეთ.

- Დეკემბერში საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელთა საკითხი გაირკვევა. კულუარებში ითქვა, ვინც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წლევანდელ არჩევნებში გია ნემსაძეს უჭერდა მხარს, მათ არანაირი შანსი არ აქვთ რომელიმე ასაკობრივი ნაკრები ჩაიბარონო...

- ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ვფლობ. ისე კი, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში არანაირი პრობლემა არ მაქვს.

- საქართველოში ახლა არც თუ ცოტა ნიჭიერი ახალგაზრდა ფხბურთელი გამოჩნდა, თუმცა ასაკობრივ ნაკრებებს ცუდი შედეგი აქვთ - როგორ დიქრობთ, რაშია საქმი?

გორ ფიქრობთ, რაშია საქმე? - მიმაჩნია, რომ მთავარი ფაქტორი სელექციაა. ასე ჩანს გარედან, თორემ ჩახედული არ ვარ, თუ რა მუშაობა მიდის ასაკობრივ ნაკრებებში. ფაქტია, საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრები ცუდად გამოვიდა შესარჩევ ტურნირებში და შესაძლოა, აქცენტი არც კ კეთდებოდეს შედეგზე. რამდენიმე ინტერვიუში წავიკითხე, მთავარია, ეროვნულ ნაკრებს მოვუმზადოთ ფეხბურთელებიო. ასაკობრივ ნაკრებებშიც მიმართულებას ალბათ კლაუს ტოპმიოლერი განსაზღვრავს. თუმცა ისიც უნდა ავლნიშნო, ჩვენი 21-წლამდელთა ნაკრები კონტინგენტით საკმაოდ კარ-გი გუნდია და ესპანეთისთვის თუ არა, პოლონეთისთვისა და რუსეთისთვის მძაფრი კონკურენცია უნდა გაეწია ჯგუფიდან გასასვლელ

- ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. თითქმის ყველა შესარჩევის ბოლოს საქართველოს ნაკრები ერთ კარგ მატჩს ყოველთვის თამაშობდა. ამ ციკლში შოტლანდიას მოვუგეთ და როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად ეს გამარჯვება რამ განაპირობა?

 - ზოგადად, მნიშვნელოვანი გამარვჯვება ყოველთვის ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. მიზეზთა გამო ტოპმიოლერი ამ შესარჩევში ვერ ახერხებდა გუნდის ბირთვის მთლიანად თავმოყრას, ერთი და იმავე შემადგენლობით

ჩვენმა ნაკრებმა გადაბმულად ორი მატჩიც ვერ ითამაშა, თანაც შემადგენლობა, ფაქტობრივად, მკვეთრად იცვლებოდა, არადა წარმატების გარანტია სტაბილურობაა. შოტლანდიასთან მატჩისთვის კი რამდენიმე ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს - სწორი სელექცია, კარგი ფსიქოლოგიური განწყობა...

- თქვენი ყოფილი გუნდის, ბოლნისის "სიონის" თამაშებს ხშირად ესწრებით, "ოლიმპი"-"სიონის" (1:0) მატჩის შემდეგ ბოლნისელთა გასახდელშიც შეხვედით - ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ "სიონში" დაბრუნებაზე სერიოზულად ფიქრობთ?

- არა, უბრალოდ ჩემი ყოფილი თანაგუნდელები, მწვრთნელი და ფეხბურდელები გავამხნევე, მათ იმ შეხვედრაში მეტოქეზე უფრო მწყობრად ითამაშეს, მაგრამ დამარცხდნენ. "სიონთან" არანაირ მოლაპარაკებას არ ვაწარმოებ.

- როგორც მწვრთნელს, რა გეგმები გაქვთ?

- ამ ეტაპზე არანაირი, თუმცა ფაქტია, დასვენება დიდ ხანს მომიწია. ერთ თვეში ალბათ რაღაც-რაღაცეები გაირკვევა.

- ერთ თვეში საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე ჩამთავრდება გქონდათ მოლაპარაკება რომელიმე ქართულ კლუბთან?

- შესაძლოა, მწვრთნელობა რუსეთში გავაგრძელო.

- გაქვთ კონკრეტული შემოთავაზება?

- არის რაღაც ლაპარაკი. დაახლოებით ერთ თვეში ალბათ, ჩავალ რუსეთში და შევეცდები, იქ დავსაქმდე.


ში და შევეცდები, იქ დავსაქმდე.
- ამ ეროვნულ ჩემპიონატზე რას იტყოდით, ახალს და განსაკუთრებულს ვერაფერს ამჩნევთ?

- კარგა ხანია, ასეთი გამოკვეთილი ლიდერები ჩვენს ეროვნულ ჩემპიო-ნატს არ ჰყოლია - ახლა ჩემპიონობისთ-ვის, ფაქტობრივად, ორი გუნდი იბრძ-ვის - "ზესტაფონი" და "დინამო", ყოველ შემთხვევაში, დაგროვილი ქულე-ბით ასე ჩანს.

- და მიგაჩნიათ, რომ "ვიტ ჯორჯია" და "ამერი" საჩემპიონო რბოლაში ვერ ჩაერთვებიან?

- ვუყურე "დინამო"-"ვიტ ჯორჯიას" (0:1), ვიტელებმა მართლაც ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ ფეხბურთში ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილურო-ბა, რაც "ვიტ ჯორჯიას" აკლია. რაც შე-ეხება "ამერს", ამ გუნდსაც ჰქონდა ჩავარდნა და სასიხარულო იქნება, თუ ძალას მოიკრებს და ჩემპიონატს ინტრიგას გაუმძაფრებს.

დავით თავართძილაძე








336F3EU...

ownseamu ownseamu

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ





რევაზ ძოძუაშვილი

USU339₽₽ 904339₽₽ 904339₽₽

ᲛᲔᲚᲥᲐᲫᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲒᲝᲒᲠᲝᲒᲐᲖᲔ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ

რეპაზ ძოძუაშპილმა ყარაგანდის "შახტიორის" პრეზიდენტის იმედები გაა-მართლა. მან უცხო ქვეყანას იოლად აულო ალლო და გრიგოლ ლორიას დანა-პირები შეუსრულა - მისი განვრთნილი "შახტიორი" ყაზახეთის სუპერლიგის მესამეადგილოსანი გახდა. სხვათაშორის "შახტიორი" ამას 12 წელია არ ღირსებია.

გრიგოლ ლორიას გადაწყვეტილება მწვრთნელის დატოვება-გაშვებაზე, ამაზე იყო დამოკიდებული. გაურკვევლობა დასრულდა. ყარაღანდელთა პრეზიდენტმა ქართველ მთავარ მწვრთნელს ახალი კონტრაქტი შესთავაზა გაცილებით უკეთესი პირობებით.

რევაზ ძოძუაშვილი ქართველ მწვრთნელთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს უცხოეთში. მას უკრაინაში, ლატვიაში, რუსეთში, არაბთა გაერთიანებულ საემიროებსა და ყაზახეთში უმუშავია.

მისი დამსახურებაა ისიც, ყაზახებმა ბოლოს და ბოლოს რომ დაინახეს ლევან მელქაძის რეალური ძალა. 27 წლის ფორვარდი თავდაპირველად ვერ აეწყო, გოლების გატანა დაავიწყდა და გავრცელდა კიდეც ინფორმაცია, ძველი მწვრთნელი იუჰა მალინენი ტრანსფერზე დაყენებას რომ უპირებდა.

რეზო ძოძუაშვილი კი მელქაძეს დაეყრდნო და არ შემცდარა. ბოლო რვა შეხვედრაში ქართველმა თავდამსხმელმა შვიდი ბურთი გაიტანა და ლატვიელ მიხოლაპთან ერთად "შახტიორის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. საერთო ჯამში, ორივემ 8-8 ბურთი გაიტანა. "მიხიჩას" მისელამდე კი მელქაძეს მხოლოდ ერთი გოლი ჰქონდა გატანილი.

ლევანს ყარაღანდელებთან კონტრაქტი გაუმთავრდა, თავისუფალი აგენტი გახდა და ჩანს, ახალი სეზონის დაწყებამდე გვარიანი ფიქრი მოუწევს სად გააგძელოს კარიერა. მას ყაზახეთის ჩემპიონი "აქტობე" იწვევს. კლუბის პრეზიდენტი ლევანს თუნდაც მხოლოდ პეტერბურგში, თანამეგობრობის თასზე გამგზავრებას სთავაზობს, თუკი უფრო ხანგრძლივი დროით თანამშრომლობა არ სურს.

ახალ და ასევე გაუმჯობესებულ კონგრაქგს "შახტიორიც" სზავაზობს. რეზო ძოძუაშვილიც მისი დაგოვებითაა დაინტერესებული. თუმცა თავად ლევანს კარიერის ყაზახეთში დასრულება არსურს. მას მენეჯერები ავსგრიის, შვეიცარიისა და მეორე ბუნდესლიგის რომელიმე გუნდში მოწყობით აიმედებენ.

"შახტიორში" რჩება ლაშა ნოზაძე. ის თბილისის "დინამომ" ერთწლიანი არენდით გაუშვა.

არენდით გაუშვა. "შახტიორის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოვქეყნებულ ინტერვიუში ლევან მელქაძე ჩვენთვის საინტერესო თემებს შეეხო.

"რომ არა მელქაძის თავდავაერებული თამაში, "შახტიორი" ბოლოსწინა ტურში ("ალმა-ატისთან") ვერ ასცდებოდა მარცხს. რა არის ლევანის წარმატებული თამაშის საიდუმლო?" - ამ კითხვით იწყება ინტერვიუ.

"კლუბის მაისურის ქვეშ, კიდევ ერთს ვიცვამ, რომელზეც ჩემი ქვეყნის სიმბო-ლიკაა გამოსახული. გოლის შემდეგ, სწორედ მას ვაჩვენებ გულშემატკივრებს, რადგან ის ჩემთვის იღბლიანია. ყა ზახეთში ჩამოსვლისთანავე მას ვატარებ. მაისურზე ჯვარია გამოსახული, მორწმუნე ადამიანი ვარ და ყოველთვის ღმერთის იმედად ვარ", - პასუხობს მელქაძე.

მას კითხვა საქართველოს ნაკრებზეც დაუსვეს - "შოტლანდიასთან მოგებამ, ალბათ, პოზიტოური ენერგიით დაგმუსტათ?"

"რა თქმა უნდა. მეც ძალიან მსურს ნაკრებში თამაში. ვნახოთ, რა იქნება მომავალში".

რაც შეეხება კონტრაქტს, ამ თემაზე ლევანმა იმაზე მეტი არ ისაუბრა, რაც ჩვენ უკვე დავწერეთ. ასე რომ, ლევან მელქაძე არჩევანის წინაშეა - ყაზახეთი ან ევროპა.

მერა<u>პ მ</u>ამულაშვილი

საფეხბურთო კლუბი რუსთავის "ოლიმპი" და საფეხბურთო სკოლა "მერანი 91" მნუხარებით იუნყება, რომ გარდაიცვალა საფეხბურთო კლუბ "მერანი 91-ის" ყოფილი პრეზიდენტი

© 2300 32460 2799

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პ30პროსში მეცხრე გურის მაგჩები გაიმართა. ჩემპიონატს კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს თემურ ქეცბაიას "ანორთოსისი", რომელსაც 21 ქუ-ლა აქვს და მდევრებს, "ომონიას" და "აპოელს" 2-2 ქულით უსწრებს. სწო-რედ "ომონიას" ესტუმრა ქეცბაიას რედ "ომონიას" ესტუმრა ქეცბაიას გუნდი და **ბელიჩის** გოლის წყალობით ფრეს მიაღნია - 1:1. ლიმასოლის "აპოლონი", სადაც ლევან მაღრაძე თამაშობს, 16 ქულით მეოთხე ადგილზეა. "აპოლონმა" სტუმრად აეკ-ს მოუგო 2:0. მაღრაძე მოედანზე მატჩის მინურულს, 90-ე წუთზე გამოჩნდა. ჯერჯე-რობით ვერ ყოჩაღობს **ლევან ქებაძის** "ახნასი", რომელიც სტუმრად 0:1 და-მარცხდა "ენოსისთან". ლევანმა 90 წუთი ითამაშა, მისმა გუნდმა კი ბოლო ნუთზე მცველის მიერ საკუთარ კარში ჩაჭრილი გოლის გამო ნააგო. "ახნასი" 9 ქულით მეათე ადგილზეა.


დასრულდა ბელარუსის ჩემპიონატი, რომლის გამარჯვებულიც ორი ტურით ადრე გაირკვა - ბორისოვოს "ბა ტე". ჩემპიონატში რამდენიმე ქართველი ლეგიონერიდან ბოლოს სამი შემორჩა, ბრესტის "დინამოსთან" (25 ქულა) ერთად მე-12 ადგილი დაიკავეს გია თოდუამ და რომან გოგინაშვილმა. ერთი ადგილით ჩამორჩა "დინამოს" მოგილევის "დნეპრი" (23 ქულა), სადაც ალექსანდრე შუბლაძე თამაშობს. "დნეპრი" ბოლოსწინა ადგილზე გავიდა, მაგრამ რეფორმის წყალობით არ გავარდა, გაისად ბელარუსის ჩემპიონატში ორით მეტი, 16 გუნდი ითამაშებს. ბოლო ტურში დინამო" ბრესტში სოლიგორსკის "შახტიორთან" დამარცხდა - 0:1. "დნეპრმა" კი სტუმრად "სმორგონთან" წააგო ასეთივე ანგარიშით. სხვათა შორის, "სმორგონში" პირველი წრე სულიკო კაკაბაძემ გაატარა, რომელიც შემდეგ ლიტვის "ინტერასში" გადავიდა და ბოლოს იქიდანაც წავიდა. ბრესტში მხოლოდ რომან გოგინაშვილ-მა ითამაშა. შუბლაძემ "დნეპრის" 26 მატჩიდან 25-ში ითამაშა.

ლატვიაში ჩემპიონატი გასულ კვირაში მორჩა, სეზონი კი კვირას ბალტიის ლიგის ფინალის საპასუხო მოატჩით დასრულდა. ისე მოხდა, რომ ფინალში მხოლოდ ლატვიური გუნდები გავიდნენ, ჩემპიონი "ვენტსპილსი" და ლიეპაიას "მეტალურგსი". ჩემპიონატში "ვენტსპილსმა" მოიგო მარათონი, ორმატჩიანი ფინალი კი "მეტალურგსმა" პირწმინდად მოიგო. რიგაში "მეტალურგს მა" 3:1 იმარჯვა. ამ მატჩში შეუცვლელად ითამაშა ზურაბ მენთეშაშვილმა. საპასუხო მატჩი კი ბევრს არაფერს წყეტდა და "მეტალურგსმა" საბოლოოდ შეარცხვინა მეტოქე - 5:1. მეორე მატჩში "ვენტსპილსმა" მეორე შემადგენლობით ითამაშა.

ჩემპიონაცტი დასრულდა ლიტვის A ლიგაშიც, ათი გუნდი საბოლოოდ და-ლაგდა გათამაშების ცხრილში. ქართუ-ლი ტრიოს "კაუნასმა" ბოლო ტურში სტუმრად 4:1 მიუგო "შილიუტეს". ჩემ-პიონმა ლამის მეორე შემადგენლობით ითამაშა, თამაშის საშუალება აკაკი ხუბუტიას მიეცა და ქართველმა მცეელ-მაც 43-ე წუთზე გახსნა ანგარიში. ხუბუტიამ 90 წუთი ითამაშა. ნუკრი მანჩხა-

യാദാന്ദ

633934869 7639039 7639039



თემურ ქეცბაიას ანორთოსისი ლიდერობას არ თმობ


ვასთვის და გივი კვარაცხელიასთვის სეზონი ამ მატჩამდე დასრულდა. ვახტანგ კვარაცხელიას "ვეტრა" ბოლო ტურში სტუმრად 1:2 დამარცხდა "შიაულაისთან", ქართველი ფორვარდი სათადარიგო იყო. "ვეტრამ" 61 ქულით ჩემპიონატი მახუთე ადგიოზე დაასრულა.

პიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა. მოლდოვის ნაციონალურ დივიზიონში მე-18 ტურის მატჩები გაიმართა. ჩემპიონმა და ლიდერმა ტირასპოლის "შერიფმა" სტუმრად ბენდერის "დინამო" დაამარცხა - 2:1. გამარჯვების გოლი მატჩის 50-ე წუთზე კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა გაიტანა. მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ნიშნულთან ვეტერანი ქართველი მივიდა, რომლის დარტყმული მასპინძელთა გოლკიპერმა მოიგერია, თუმცა ვაჟამ დაამატა და "შერიფს" 3 ქულა მოუტანა. "შერიფმა" 45 ქულა დააგროვა და უახ-ლოეს მდევარ "ზიმბრუს" 9 ქულით გაუსწრო, თანაც მასზე თამაშით ნაკლები გამართა. "ზიმბრუმ" სტუმრად 1:0 დაამარცხა "რაპიდი". მამუკა ლომიძეს არ უთამაშია. მოლდოვის ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე სუსტია ევროპაში. ამის დასტური მატჩის შემდეგ მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელობის განცხადება იყო, რომელთაც კლუბი ჩემპი-ონატიდან მოხსნეს. გუშინ "დაჩიამ" 2:0 დაამარცხა "ნისტრუ", ქართველებს თავი არ გამოუჩენიათ. ჯაბა დვალი შესვენების შემდეგ გამოჩნდა, თუმცა ის 88-ე წუთზე შეცვალეს. ვიტალი დარასელია სასტარტოში იყო, ის 74-ე წუთზე შეცვალეს, "დაჩია" 35 ქულით მესამე ადგილზეა. რამდენიმე გადადებული მატჩი, ერთი სრული ტური და მოლდოველები ზამთრის შესვენებაზე გავლენ.

ჩემპიონატი დასრულდა ყაზახეთშიც, რევაზ ძოძუაშვილის განვრთნილმა ყარაღანდის "შახტიორმა" 58 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. ბოლო ტურში ძოძუაშვილის შეგირდებმა სტუმრად "ვოსტოკთან" ნააგეს - 0:1. ლევან მელქაძემ ჩემპიონატი 8 გატანილი გოლით დაასრულა. ბოლო ტურში გიორგი მეგ-რელაძის "ჟეტისუ" "ასტანას ესტუმრა და 1:1 დაუზავდა. მეგრელაძე 42-ე ნუთზე შეცვალეს. "ჟეტისუმ" 45 ქულით ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა. ზვიად ჯელაძის "ვოსტოკი" 41 ქულით მეშვიდე ადგილზე გავიდა. გ**იორგი გო-**გიაშვილის "კაისარმა" 37 ქულით მეათე ადგილ დაიკავა. ქართველთა გუნდები დან ყველაზე ცუდად **ზურაბ არჩვაძის** "ეკიბასტუზეცმა" ითამაშა, რომელმაც 32 ქულა მოაგროვა და ჩემპინატი მე-12 ადგილზე დაასრულ

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მე-11 ტურის მატჩები გაიმართა. ამ ტურში საკმაო შესვენების შემდეგ თავი გატანილი გოლით გიორგი ადამიამ შეგვახსენა. "ნეფთჩიმ" გიორგის ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად ჩემპიონი "ხაზარი" დაამარცხა. ეს მატჩის პირველივე წუთზე მოხდა, გიორგი მეკარესთან პირისპირ გავიდა და გაიტანა. გამარჯეების მიუხედავად, "ნეფთჩი" (23 ქულა) კვლავ მესამე ადგილზე რჩება. "კაბალამ" სტუმრად 6:0 გაანადგურა

"გენჩლერბერლიი". საოცარია, მაგრამ ქართველებს ერთი გოლიც არ გაუტანიათ, არადა გიორგი გაბიდაურის გარდა ყველამ ითამაშა. "კაბალა" 18 ქულით მეექვსეა და შემდეგ საფეხურზე მყოფ "ბა-ქის" ქულით უსწრებს. "ბაქი" "ყარაბახს" დაუზავდა სტუმრად - 1:1. სტუმართა შორის სრულად ითამაშა **ალექსანდრე** გოგობერიშვილმა, მეორე ტაიმში შემოვიდა ამირან მუჯირი (გააფრთხილეს). მასპინძელთა გუნდში გოგა ბერია ძმამ, ირაკლიმ შეცვალა. ვლადიმერ უგრეხელიძის "სტანდარდმა" სტუმრად იმარჯვა ახალბედა აბ6-ზე - 1:0. ქართველმა ნახევარმცვბელმა ბოლო 15 წუთი ითამაშა. "ყარაბახი" 16 ქულით მერვეა, "სტანდარდი" (10 ქულა) - მეათე. "ქარვანი" შინ "ოლიმპიკთან" დამარცხდა - 0:1. მასპინძელთა რიგებში მხოლოდ ერთმა ქართველმა, ალექსანდრე ინწკირველმა ითამაშა (90 წუთი). "ქარვანი" 12 ქულით მეცხრე ადგილზეა.




ნიკოლოზ 6030არიძე



®ᲠᲐᲒᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲐ

aonaლoba, naamnnu RJasnmesen abeach

ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲒᲐᲡᲠᲝᲚᲐ ᲐᲠᲔᲪᲝᲨᲘ. ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲨᲤᲝᲗᲐᲕᲡ. ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲛᲐ, ᲚᲐᲪᲘᲝᲡ ᲥᲝᲛᲐᲒᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲛᲝᲛᲘᲦᲘᲐᲝ...



ბერგამო. ადგილობრივი ტიფოზები მოედანზე შეჭრას ცდილობეს

ბრეცოში მომხდარ მკვლელობას, რომელმაც "ლაციოს" ქომაგის, 26 ნლის გაბრიელე სანდრის სიცოცხლე იმსხვერპლა, იტალია კარგა ხანს ვერ დაივიწყებს. ბოლო ტურის სამი შეხვედრა გადაიდო. თავდაპირველად, ეს "ინტერი"-"ლაციოს" მატჩს შეეხო. მერე "ატალანტა"-"მილანის" მატჩი შეწყდა და ზედმეტი არეულობის თავიდან ასაცილებლად, გადაწყდა, რომ ბერგამოული თამაშიც გადადებულიყო. მოგვიანებით კი, იტალიის ფეხბურთის ფედე-რაციამ მიზანშეუწონლად სცნო "რო-მა"-"კალიარის" მატჩის გამართვაც. თუმცა აპენინების დედაქალაქი პოლი-ციასა და ფანებს შორის დაპირისპირებას მაინც ვერ ასცდა. სამართალდამცავებთან შეხლა-შემოხლაში "რომასა" და "ლაციოს" გულშემატკივრები ერთი-ანი ძალით მონაწილეობდნენ. "ჩვენ საერთო ტკივილი გვაერთიანებს!"

როდნენ ტიფოზები, რომლებიც სხვა დროს ერთმანეთს არ ინდობენ ხოლმე. აი, ეს შედეგი მოიტანა მავანი პოლიციელის დაუფიქრებელმა ქმედებამ...

თუმცა, როგორც ყოველთვის ხდება, გამძვინვარებულ ქომაგთა პროტესტი მაღაზიებისა და ავტომობილების მტვრევაში გადაიზარდა. რომის მუნიციპალიტეტის სპეცრაზმმა 50-მდე ხულიგანი დააპატიმრა. "რომასა" და "ლაციოს" ქომაგთა რადიკალურმა დაჯგუ-ფებებმა ("ულტრასები") იერიში პოლი-ციის ყაზარმებზეც მიიტანეს. შესაბამისად, ქალაქის თავის განკარგულებით, ყველა სასიცოცხლო ობიექტს სპეცია-ლური დაცვა მიუჩინეს. სიტუაცია სადღაც გამთენიისკენ ჩაცხრა, თუმცა პოლიცია დღესაც ყურადღებით ადევ-ნებს თვალ-ყურს მოვლენათა განვითარებას და ნებისმიერი გართულების აღსაკვეთად მზადაა

ამასობაში, "ატალანტის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ იღებს ნაწი-ლობრივ პასუხისმგებლობას "მილანთან" მატჩის წინ, უშუალოდ თამაშის დროსა და მის შემდეგ მომხდარი არეულობების გამო და ყველა ღონეს იხმარს, რათა გულშემატკივართა ვნებები მოთოკოს, პოლიციას კი დამნაშავეთა და-კავებაში დაეხმაროს: *"ჩვენ არ ვაპირებთ*, განზე გავდგეთ და მოვლენების დამკვირვებლად ვიქცეთ, - აცხადებს "ატა-ლანტის" წარმომადგენელი "ჩენელთან" ინტერვიუში, - უახლოეს ხანებში ჩავატარებთ გამოძიებას და ყველა დამნაშავეს პასუხს მოვთხოვთ. საბედნიეროდ, გულშემატკივართა უმრავლესობას არეულოპებში მონაწილეობა არ მიუღია, პირიქით, ბევრი მათგანი, ჩვენს ფეხბურთელებთან ერთად, გაშმაგებული ხალხის დაშოშმინებას ცდილობდა, რისთვისაც მათ მადლობა უნდა გადავუხადოთ. ასე რომ, "ატალანტა" სოლიდარობას უცხადებს სამართალდამცავ ორგანოებს და ყოველმხრივ იზიარებს იმ გულშემატკივართა პოზიციას, ვინც სტადიონზე ფეხბურთის საყურებლალ დადის".

გუშინ, იტალიის პოლიციამ არეცოში მომხდარი ტრაგედიის საკუთარი ვერსია გაავრცელა. აი, რა წერია ოფიციალურ განცხადებაში: "დაახლოებით დილის 9 საათზე, პოლიციის ორი მანქანა არეცოს გარეუბანში მდებარე ავტოსერვისს მიადგა. სწორედ იქ ხდებოდა დაპირისპირება ორ მოზრდილ ჯგუფს შორის. პოლიციას არანაირი საფუძველი არ ჰქონდა, ციას არასაირი საფუსუგელი ირ აციაბა, ეფიქრა, რომ ეს "ლაციოსა" და "იუვენ-ტუსის" ფანები იყვნენ. ჩხუბის შესაჩე-რებლად, პოლიციელმა ჰაერში ორჯენ გაისროლა. სამწუხაროდ, მოხდა მძიმე შეცდომა და ტყვია ერთ-ერთ მოჩხუბარს მოხვდა. რამდენიმე წუთში ადგილზე სამედიცინო ჯგუფი გაჩნდა, მაგრამ დაჭ-რილის გადარჩენა ვერ მოხერხდა".

დაგვეთანხმებით, რომ პოლიციის



რომი. შეტაკება ფანებსა და პოლიციას შორის

ვერსია თვითმხილველთა ნაამბობისგან (რაც გუშინდელ მიმოხილვაში დავწერეთ) არაფრით განსხვავდება. მაგრამ აქ ერთი შეუსაბამობაა: საინტერესოა, როგორ დაიღუპა "ლაციოს" ფანი, თუკი პოლიციელი მხოლოდ ჰაერში ისროდა? გუშინვე ცნობილი გახდა, რომ მოკლული "დი-ჯეის" ძმამ, რომელიც პროფესიით ადვოკატია, სასამართლოში სარჩელი შეიტანა. ის პოლიციელს პირდაპირ მკვლელობაში ადანაშაულებს..

ამ პოლიციელის ვინაობას კი სამართალდამცავნი ჯერჯერობით არ ახმოვანებენ. ის დაკავებულია და მიმდინარეობს გამოძიება. ერთ-ერთი თანამშრომლის პირით, ინკოგნიტო პოლიციელმა ასეთი განმარტება გააკეთა: "იარალი არავისთ-ვის დამიმიზნებია. პირველად, ჰაერში ვისროლე და მოჩხუბრებისკენ გავიქეცი. სწორედ ამ დროს მოხდა მეორე გასროლა... ძალიან ვნუხვარ, შოკირებული და დათრგუნული ვარ... ფაქგობრივად, ორი ოჯახი დავანგრიე".

გუშინვე, დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა კლარენს ზეედორფის საქციელს. "ატალანტა"-"მილანის" მატჩის წინ მან დაღუპულის ხსოვნის საპატივსაცემოდ შავი სამკლაურის გაკეთებაზე უარი თქვა, რაც შემდეგ ასე ახსნა: *"ეს ჩემი* პრინციპული გადაწყვეტილება იყო, რადგან არც მოკლულს ვიცნობდი და არც მომხდარზე მქონდა ზუსტი ინფორმაცია. ამას გარდა, გაგახსენებთ, რომ როცა კახა კალაძის ძმის მკვლელობის ამბავი დადასტურდა, რატომლაც არავის მოსვლია თავში აზრად, რომ მისი ხსოვნისთვისაც გვეცა პატივი".

კომენტარი გააკეთა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჯანკარლო აბეტემაც, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის გზებს ჯერჯერობით ვერ ხედავს: "ძალიან ცუდი და მძიმე დღე იყო. ჩვენ უნდა გავიგოთ საზოგადოებრივი აზრი, უნდა შევხვდეთ გულშემატკივრებს და ვნახოთ, რას ფიქრობენ ისინი, როგორ უნდა გამოვიდეთ ყველანი ამ კრიზისული სიტუაციიდან. არ ვიცი, რა მოხდება... სარისკოა, რომ ახლა რამე ვთქვა. პრობლემა სახეზეა და სიმართლე გითხრათ, ვფიქრობთ ჩემპიონატის შეწყვეტაზეც კი. ბევრს აქვს ასეთი აზრიც, რომ ავკრძალოთ ფანების მოგ ზაურობა სხვადასხვა ქალაქში, მაგრამ არა მგონია, რომ ეს იყოს გამოსავალი. არც ის მოაგვა-რებს პრობლემას, რომ ხალხს ფეხბურთის ყურება ავუკრძალოთ. მთავარია, ჭეშმარიტ გულშემატკივართა უსაფრთხოების დაცვის გზები გამოვნახოთ. არ მინდა ვიფიქრო, რომ მომავალი ათი წლის განმავლობაში ქომაგებს საყვარელი გუნდების ყურება მხოლოდ ტელევიზიით მოუნევთ"

ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

96036M 3*5*96963

ᲒᲐᲛᲘᲨ**Ვ**ᲘᲗ ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲨᲘ! ᲘᲜᲢᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲑᲐᲠᲓᲔᲑᲐ

"ინტერში" ადრიანოს დღეები დათვლილია. ბოლო პერიოდში, ბრაზილიელ ფორვარდსა და რობერტო მანჩინის შორის ურთიერთობა კიდევ ერთხელ დაიძაბა და ვგონებთ, ეს უკვე ის სიტუაციია, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ გაყრაა. მოკლედ შეგახსე-ნებთ, რომ სამი კვირის წინათ, ადრია-ნომ, რომელიც "რეჯინასთან" მატჩის დროს შეცვალეს, მწვრთნელს იგნორირება გაუკეთა და ხელი არ ჩამოართვა. საპასუხოდ, მანჩინიმ ის "ჯენოასთან" შეხვედრის წინ განაცხადში არ შეიყვანა. როცა ადრიანო საბოლოოდ დარნმუნდა, რომ ხსნებულ მატჩშიც არ მოუწევდა თამაში, სტადიონი დემონსტრა ციულად დატოვა. და აი, ბოლო შემთხ-ვევაც: მანჩინიმ ჭირვეულ ბრაზილიელს პირობა მისცა, რომ "ლაციოსთან" შეხვედრაში ათამაშებდა. მოგეხსენებათ, ეს მატჩი ცნობილი მიზეზის გამო გადაიდო. თუმცა ადრიანომ უკვე იცოდა, რომ არც ამ შეხვედრაში ეღირსებომოედანზე გასვლა. პრესამ მწვრთნელს განმარტება სთხოვა. მანჩინი მოკლედ და არაორაზროვნად შემოიფარგლა: "ორ დღეში ვერაფერი შეიცვლებოდა".

ერთი სიტყვით, ვერდიქტი გამოტანილია. სხვათა შორის, ამის თაობაზე ადრიანომ უკვე მედიასაც აცნობა: "უკვე ვესაუბრე კლუბის ხელმძღვანელობას და შემიძლია გითხრათ, რომ იანვრიდან აქ აღარ ვიქნები. ჩემი პირველი არჩევანი "მანჩესტერ სიტია". იქ სვენ გორან ერიქსონი მუშაობს და ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს. ვიცი, რომ "ინ-ტერს" როლანდო ბიანკი მოსწონს, ამიტომ, გარიგება შეიძლება მარტივად

მეტი დამაჯერებლობისთვის, ჟურნალისტებმა ადრიანოს აგენტსაც დააცდენინეს კომენტარი. **ჟილმარ რი**ნალდიც ადასტურებს, რომ მისი კლი ენტი, ფაქტობრივად, ჩემოდნებზე ზის. მაგრამ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები? "ილ ჯორნალეს" ვერ-სიით, "ინტერი" ადრიანოს ცალმხრივად გაუწყვეტს კონტრაქტს, "უარყო-ფითი სამედიცინო ტესტის" საფუძველ-ზე. ასეთ შემთხვევაში, "იმპერატორი" თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. ანალოგიურ შემთხვევას უკვე ჰქონდა ადგილი ორი წლის წინათ, როცა კრისტიან ვიერი "ინტერიდან" მეორე მილანურ გრანდში გადავიდა

მეორე ვარიანტი ისაა, რომ ადრიანოს იანვარში გაანათხოვრებენ და ზაფხულ ში გაყიდიან. მესამე კი როლანდო ბიანკიში გაცვლაა. ბიანკის "მანჩესტერ სიტიში" არ ათამაშებენ. ერიქსონმა ის მალევე აითვალწუნა, სამაგიეროდ, ადრია-ნოზე მაღალი აზრისაა. "სიტის" მფლობელი ტაქსინ შინავატრაც მზადაა, შვედის ნებისმიერი თხოვნა დააკმაყოფ ლოს. ცნობილია ისიც, რომ ბიანკის "ინტერში" პატივს სცემენ. მაგრამ აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: "რეჯინის" ყოფილ ფორვარდს, რომელიც სათამაშო პრაქტიკის არარსებობის გამო სწუხს, "ნერაძურიშიც" ვერ ექნება დალხენილი ცხოვრება. მანჩინის წინა ხაზზე დიდი არჩევანი აქვს, ზლატან იბრაპიმოვიჩის, ერნან კრესპოს, ხულიო კრუსისა და დავიდ სუასოს სახით.

დავუბრუნდეთ ადრიანოს და დავამატოთ ისიც, რომ "მანჩესტერ სიტის" გარდა, მას "ვესტ ჰემის", "მილანის", "რომასა" და "ფენერბაჰჩეს" ვარიანტებიც აქვს. თურქულ გრანდში მას მისი



ადრიანო და მანჩინი იყრებიან

თანამემამულე რობერტო კარლოსი უხმობს, თუმც ყველაფერი თავად კლუბის სურვილზეა დამოკიდებული. რიანოს აგენტი აცხადებს: "ამ დღეებში ჩვენ კიდევ შევხვდებით "ინტერის" დირექტორებს და ვეცდებით, საუკეთესო გამოსავალს მივაგნოთ. ამ დროისთვის, არც ერთი კლუბისგან ოფიციალუ-რი შეთავაზება არ მიგვილია. არ არის

მართალი, თითქოს ადრიანომ უფლება მომცა, დამოუკიდებლად ვიმოქმედო. ჩვენ ყველაფერს ერთად გავაანალიზებთ და ავნონ-დავნონით. აქ ის კი არ არის პრობლემა, დატოვებს "ინტერს" თუ არა, მთავარი ის გახლავთ, რომ მალე დაუბრუნდეს ნორმალურ საფეხბურთო ცხოვრებას და ძველებურად ათამაშდეს".

მზადეგა **იან**ვრისათვის

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲕᲐᲡ 230KJZL 826KUEUS

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ინ-ტერმა" "მონაკოს" მარცხენა ნახევარმცველ ჟერემი მენეზს დაადგა თვალი. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევ-"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ლივერპულის" ყურადღებაც მიიპყრო. მენეზი 20 წლისაა. "ინტერს" "მონაკოსთან" საუცხოო ურთიერთობა აკავშირებს. ამ ურ-თიერთობის შედეგი იყო შარშან ზაფხულს ბრაზილიელი მცველის მაიკონის მილანში ტრანსფერიც. "ინტერის" სატრანსფერო გეგმები ამით არ ამოინურება, **რობერტო** მანჩინიმ "პარმისა" და იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი **ლუკა** ჩიგარინიც ამოილო მიზანში. იანვი ტრანსფერებისას ლუის ხიმენესი "ინტერიდან" აბარგებას აპირებს. ჩიგარინი მის შემცვლელად მოიაზრება.

"გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, "ნერაძური" "ატლეტიკოსთან" მოლაპა-რაკებების დაწყებასაც აპირებს. მილანელებმა 15 მილიონი ევრო გაამზადეს სერხიო აგუეროს სანაცვლოდ. არგენტინელ თავდამსხმელს "იუვენტუსიც" აკვირდება. მადრიდელები აგუეროს გაყიდვას არ აპირებენ. ფეხბურთელის კონტრაქტში გამოსასყიდ თანხად 22 მილიონი ევროა მითითებული.

და კიდევ, რუსული სააგენტოები ებენ, რომ "ინტერი" ცსკა-ს ბრაზილიური ლეგიონითაც დაინტერესდა. ეს გუნდები ერთი კვირის წინათ, ჩემპიონთა ლიგაში შეხვდნენ ერთმანეთს. მანჩინის ფლეიმეიქერ დანიელ კარვალიოს, თავდამსხმელ ვაგნერ ლავისა და კიდევ ერთი თავდამსხმელის **ჟოს** თამაში მოენონა. მილანელებს რუსეთის ჩემპიონატში მოასპარეზე მეოთხე ფეხბურთელიც სურთ. საუბარია "ლოკი ტივის" სერბ მცველ ბრანისლავ ივანოვიჩზე. ამ ბიჭზე "იუვენტუსიც" აცხა-დეპს პრეტენზიას, მაგრამ "ინტერს" წარმატების მიღწევის უკეთესი შანსი აქვს. "ნერაძურის" მეორე მწვრთნელ სინიშა მიხაილოვიჩს ივანოვიჩის აგენტთან კარგი ურთიერთობა აქვს.



型性 26%20型26 82型2960

ᲒᲣᲚᲘᲒᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲗ

ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲝ, ᲒᲐᲚᲐᲥᲡᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲒᲐᲚᲐᲥᲢᲘᲙᲝ?

გასულ უქმეებზე რუუდ გულიტი "ლოს ანჯელეს გალაქსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ჰოლანდიელს ული ამოცანა დაეკისრა. ის ამერიკის ყველაზე ცნობილ საფეხბურთო კლუბს კრიზისის დაძლევაში უნდა დაეხმაროს. "გალაქსიმ" ნლევანდელი სეზონი ნაადრევად დაასრულა. ის ზედიზედ მეორედ ვერ გავიდა ფლეი ოფ-ში. კალიფორნიელებს **დევიდ ბექპე**მის ტრანსფერმაც ვერ უშველა. აი, რა განუცხადა ჰოლანდიელმა ამერიკელ მიმომხილველებს პირველსავე პრეს-კონფერენციაზე: "გალაქსის" მწვრ-თნელობა საინტერესო სამუშაოა. ჩემი ანტს კარიერის ამ ეტაპზე უკეთეს ვარი-ანტს ვერც ვინატრებდი. MLS-ი ვი-თარდება. ამერიკაში ევროპული ფეხ-ბურთი პოპულარობას იხვეჭს. მე კი მინდა, ამ პროცესებში ჩავერთო."

მიხდა, ამ აროცესები იავეობარ.
45 წლის გულიტი მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ერთგ ზის საუკეთესო ფეხბურთელია. მას "ჰაარლემში",
"ფეიენოორდში", "ეინდჰოვენში", "მილანში", "სამპდორიასა" და "ჩელსიში" უთამაშია. რუუდის სამწვრთნელო კა-რიერა ნაკლებად შთამბეჭდავია. "ჩელსიში" ყოფნისას, 1996 წელს, მას მოთამაშე-მწვრთნელის პოსტი შესკთავაზეს. 1997 წელს გულიტმა პირვე-ლი და ჯერჯერობით უკანასკნელი

სამწერთნელო ტიტული, ინგლისის ასოციაციის თასი მოიპოვა. 1998 წელს მან "ნიუკასლს" მიაშურა, თუმცა "სენტ ჯეიმსზე" მისვლამდე, ბი-ბი-სის სპორტულ მიმომხილველად იმუშავა და ერთი ფრაზით დაგვამახსოვრა თავი. სატელევიზიო ეთერში, ერთ-ერთი რეპორტაჟისას, მან ტერმინი, "სექსუალური ფეხბურთი" იხმარა.

ნიუკასლში ჩასულმა გულიტმა გუნდში ასეთი ფეხბურთის დანერგვა სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 1999 წელს მაგრამ უშედეგოდ. 1999 წელს მწერთნელს კარისაკენ მოუთითეს. 2004 წელს ის "ფეიენოორდმა" მიინვია. როტერდამელებმა სეზონი მეოთხე ადგილზე დაასრულეს. გულიტი ისევ უმუშევა-რი დარჩა. და აი, სამი წლის შემდეგ მას ლოს ანჯელესში უხმეს. "გალაქსის" პრე-ზიდენტმა **ალექსი ლალასმა** მიმომხილველებს განუცხადა: "ვეძებდით ძლიერ პიროენებას, თავდაჯერებულ ადამიანსა და ლიდერს. რუუდ გულიტი ზედმიწევნით შესაფერისი კანდიდატია." ლალასმა ჟურნალისტებს გულიტის ასისტენტი კობი ჯოუნსიც წარუდგინა. გულიტმა და ჯოუნსმა კლუბთან სამწლიან კონტ-რაქტებზე მოაწერეს ხელი.

მათი პრეზენტაცია დაახლოებით 100-მა ჟურნალისტმა გააშუქა. შედა-რებისათვის, "სან ხოსე ერსქვეიქში" "გალაქსის" ყოფილი მწვრთნელის



პრეზენტაცია: ალექსი ლალასი, ტიმ ლივეკე, რუუდ გულიტი და კობი ჯოუნსი

ფრენკ იალოპის წარდგენას მხოლოდ 10 მიმომხილველი დაესწრო. "გალაქსი" ამერიკაში ყველაზე წარმატებული საფეხბურთო ბრენდია. მას სხვებზე მეტ ყურადღებას უთმობენ. "გალაქსის" ატრიბუტიკა ყველაზე უკეთ იყიდება. მის თამაშებსაც ყველაზე მეტი მაყურებელი ესწრება, მაგრამ ეს წარმატებები ჯერჯერობით ვერა და ვერ აისახა გუნდის სპორტულ მიღწევებზე. მე-10 ადგილი MLS-ის 13 გუნდს შორის - ესაა "გალაქსის" ბოლო სეზონის მონაგარი. კლუბის ბოსებს - ტიმ ლივეკესა და ფილ ანშუტცს ბევრად უფრო ამბიციური გეგმები აქვთ. ისინი წარმოადგენენ კომპანია "ანშუტც ენთერთეინმენტ გრუპს". "გალაქსი" ამ კომპანიის საკუთრებაა. აეგ-ში სჯერათ, რომ მომდევნო 15 წელიწადში ევროპული ფეხბურთი ამერიკის მესამე ან მეოთხე ყველაზე პოპულარული სპორტის სახეოპა გახდება. მისი პოპულარობის ზრდა ხელს შეუწყობს ფეხბურთში მეტი კაპიტალის დაბანდებას. შესაბამისად, ფეხბურთი ამერიკაშიც ისეთივე მომგებიანი გახდება, როგორიც ევროპაშია.

დასასრულს ორიოდე სიტყვა "გალაქსის" სატრანსფერო ამბიციებზე. ლოსანჯელესელებმა კიდევ ერთ გალაქტიკოს დაადგეს თვალი. მათ რონალდოს შეძენა მოისურვეს. ამ ინფორმაციას იტალიური სააგენტოები ავრცელებენ. მათივე ცნობით, "გალაქსი" მზადაა, ამერიკის ნაკრების ფორვარდი ლენდონ დონოვანი გაყიდოს. მიღებული თანხით კი რონალდო შეიძინოს. მო-სალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაSUGURUP OF SUSTAINED TO

გბსულ უქმეებზე **ნემანია ვიდიჩმა** "მანჩეს-ტერ იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის კლუბში 2012 წლამდე დარჩება. სერბი მცველი "მენიუში" 2005 წლის დეკემბერში, მოსკოვის "სპარტაკოდან" გადავიდა. მანჩესტერელებმა მის სანაცვლოდ 14.7 მილიონი დოლარი გადაიხადეს. ვიდიჩმა ადვილად დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. ის გუნდის შეუცვლელ ცენტრა-ლურ მცველად იქცა. 2005 წლის დეკემბრიდან დღემდე ნემანიამ "იუნაიტედის" მაისურით 69 მატჩი ჩაატარა და 5 გოლი შეაგდო. გასულ კვირას, კიე-ვის "დინამოსთან" მატჩისას (4:0), ედვინ ვან დერ სარის შეცვლის შემდეგ კაპიტნის სამკლაური ვიდიჩს გადასცეს. 26 წლის მცველს ძველი კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდებოდა. ახალი ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ გაუხმაურებულა.

ᲛᲐᲡᲙᲔᲠᲐᲜᲝ: ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲡᲘᲒᲘ?

"მანჩეს<mark>ტ</mark>ერ სიტის" ხავიერ მასკერანოს შეძენა სურს. არგენტინელი ნახევარმცველი "ლივერპულში" იჯარის წესით თამაშობს. მასკერანოს ვერპულში" იჯარის ნესით თამაშობს. მასკერანოს სატრანსფერო უფლებები კვლავ კია ჯურაბჩიანის ხელშია. მერსისაიდელები მის გამოსყიდეას აპირებენ, მაგრამ მოლაპარაკებების დაწყებას არ ჩქარობენ. მასკერანოს კი უმოკლეს დროში სურს საკითხის მოგვარება. ამიტომ, თუ "სიტი" გააქტიურდება და სარფიან კონტრაქტს შესთავაზებს, ადვილი შესაძლებელია, მანჩესტერში ამოპყოს თავი. "დეილი მეილის" ცნობით, "სიტი" უკვე შეეხმიანა მას ცირანოს ავინტ გაგავს, სავინ გალანის სავინ გალანის სავინ გალანის სავინ გა მიანა მასკერანოს აგენტ პინი ზაჰავის, სვენ გორან ერიქსონს იმედი აქვს, რომ ფეხბურთელს იან-ვრის ტრანსფერებისას ან სეზონის დასრულებისთანავე გადაიბირებს. მასკერანოზე მარტო "ლი-ვერპული" და "სიტი" არ აცხადებენ პრეტენზიას. ფეხბურთელს "ბარსელონამაც" დაადგა თვალი. მერსისაიდულ კლუბს მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

9367U36UF F7SU 73UY?

ისრბელის ნაკრების კაპიტანი იოსი ბენაიუ-ნი სამი კვირა ვერ ითამაშებს. ის "ფულჰემთან" ბოლო ტურის მატჩისას (2:0) დაშავდა. სამედიცინო გამოკელეეამ ცხადყო, რომ ფეხბურთელს ბარძაყის კუნთი აქვს გაწყვეტილი, თუმცა მას ოპერაცია არ სჭირდება. ბენაიუნი ისრაელის ნაკრებს რუსეთთან მატჩში ვერ დაეხმარება. ეს იაკოებს იუსეთთან მატინი ვერ დაებმარება. ეს თამაში ისრაელზე მეტად, ინგლისისთვისაა მნიშვნელოვანი. ინგლისელებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ ისრაელმა მეტოქეს ქულები აართვას. თუ რუსეთი მოგებს, ბოლო ტურში ანდორასთანაც მშვიდად ჩაიჯიბავს სამ ქულას და ევროპის ჩემპიონატზე გაემაზავრიბა ინილოსი აი გაუწნებს მიუშა და გაემა გზავრება. ინგლისი კი ტურნირს მიღმა დარჩება. ბენაიუნის ტრავშას ბრიტანული მედია თბთქმის ისეთივე მწუხარებით შეხვდა, როგორითაც ეს ამბავი ისრაელელმა ჟურნალისტებმა მიიღეს.

63697 WORU

ბრბზილიის ნაკრების თავკაც კარლოს დუნიო BIA-TITU საკრების თავკაც კარლოს დუნ-გას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. გადაწყვეტილება ქვეყნის საფეხბურთო კონფედე-რაციამ მიილო. განცხადებაში ხამხანაგურ შეხვედ-რებს ეხება. ოფიციალურ მატჩებში დუნგას უპ-რობლემოდ შეეძლება სათადარიგოთა სკამზე კუთვნილი ადგილის დაკავება. კონფედერაციამ მწვრთნელს მექსიკასთან ამსანაგურ შეხვედრაში (სექტემბერში) მილებული ნითელი გარათი გათხ (სექტემბერში) მიღებული წითელი ბარათი გაუხ-სენა. იმ თამაშისას დუნგა უწმანური ლექსიკის გა-მო მიაბრძანეს ტრიბუნაზე. მწვრთნელი ოთხი მატჩიდან ორს ნამდვილად გამოტოვებს, დარჩენილი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია კი პირობითია და მხოლოდ იმ შემთხვევაში ამოქმედდება, თუ მწვრთნელი კიდევ ერთხელ მოიქცევა უდიციპ-ლინოდ. ბრაზილიელები მომდევნო სპარინგმატჩს ნ თებერვალს ირლანდიელებთან გამართავენ. სასჯელის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა ფიფას.

ᲥᲐᲚᲒᲐᲒᲝᲜᲛᲐ ᲐᲞᲘᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲐ ᲓᲐ... 87487**8**7778

ა" ცნობით, "იუვენტუსს" **სტეფან აპიას** დაბრუნება სურს. განელი ნახევარმცველი "ფენერბაჰჩეში" ირიცხება. თურქები მის გაყიდვას არ აპირებდნენ. უფრო მეტიც, აპიას ახალი კონტრაქტიც კი შესთავა-ზეს, მაგრამ ფებბურთელმა თანამშრომლობის გაგრძელებაზე უარი თქვა. მისი ხელშეკრულება ივნისში ინურება. თუ აპიას იანვრის ბაზარზე არ ივისიი იაურება. თუ ასიას იახვრის ბანარტე არ გაყიდიან, სეზონის ბოლოს "ფენერი" ერთ ცენტ-საც კი ველარ მიიღებს. სპეკულაციების თანახ-მად, "იუვე" ბრემენის "ვერდერისა" და გერმანი-ის ნაკრების მცველ **პერ მერტეზაკერითაც** და-ინტერესდა. 23 წლის ფეხბურთელმა "მილანის" უურადღებაც მიიპყრო. ის 10 მილიონ ევროდაა შეფასაბული, მოსალთინილ, გრანსოარიბიანი შეფასებული. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკაეშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.



ელვოკააგმა osta de la contra della contra de la contra de la contra de la contra de la contra della contra de la contra de la contra de la contra de la contra della contra

ᲞᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ. ന്നെ പാലയാലെ അവനാദ്യപ്പെം. ᲐᲠᲨᲐᲕᲘᲜᲡ ᲙᲘ ᲜᲘᲣᲙᲐᲡᲚᲨᲘ ᲔᲚᲝᲓᲔᲑᲘᲐᲜ...

ჩენის შემთხვევაში, მას ორჯერ გაუზრდიან ხელფასს. მისტერ დიკს აქამდე წლიურად 2 მილიონ დოლარს უხდიდნენ. სეზონში 4 მილიონი დოლარი ზესარფიანი წინადადებაა. პეტერბურგელები მზად არიან, ადვოკაატს შეთავსებით ავსტრალიაში მუშაობის ნებაც დართონ. ბოლო ტურში "სატურნთან" გამარჯეების შემდეგ მწვრთნელმა განაცხადა: "გადაწყვეტილება მომავალ სამსახურთან დაკავშირებით უკვე მივიღე. მოითმინეთ და მის შესახებ უახლოეს დღეებში მოგახსენებთ.

რუსული კონტრაქტი ფინანსურად ძალიან მიმზიდველია, მაგრამ არის მედლის მეორე მხარეც: ადვოკაატი გაუთავებელმა ფრენებმა დაღალა. მისი ოჯახი ჰოლანდიაში ცხოვრობს. მისტერ დიკს მშვიდი ცხოვრება მოენატრა. ავსტრალიის საფეხბურთო ასოციაცია მას ჰპირდება, რომ ნაკრები ევროპის იმ ქვეყანაში შეიკრიბება ხოლმე, სადაც მწვრთნელი მოისურვებს. საუკეთესო ავსტრალიელი ფეხბურთელები ევროპაში თამაშობენ. ამიტომ ეროვნული ნაკრები ამხანაგურ მატჩებსაც კი, როგორც წესი, ინგლისში მართავს ხოლმე. მისტერ

დიკს, ფაქტობრივად, სახლიდან შეეძლება საქმის გაძღოლა. რაც შეეხება "ზენიტს", თუ ადვოკაატი გადადგება, პეტერბურგელებს თავისი ასისტენტის კორნელიუს პოტის კანდიდატურას შესთავაზებს. პოტი რუსეთის ჩემპიონებს შესანიშნავად იცნობს. 2006 წლის ზაფხულში, როცა ადვოკაატმა "ზენიტთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა და კორეის ნაკრებთან ერთად მუნდიალზე გაემგზავრა, პეტერბურგელთა პირველი შეკრება პოტმა ჩაატარა.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია რუსეთის ჩემპი-ონების პანაკიდან: "ზენიტისა" და რუსეთის ნაკრების ნახევარმცველი **ანდრეი არშავინი**, შეიძლება, "ნიუკასლში" გადავიდეს. ამ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. მათი მტკიცებით, ჯორდებმა პეტერბურგელებს მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზეს. ინგლისელები მზად არიან, არშავინის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო გადაიხადონო, წერენ ისინი. ცოტა ხნის წინათ არშავინით "ტოტენპემი" იყო დაინტერესებული, მაგრამ ლონდონურ კლუბში მწვრთნელი შეიცვალა, ხუანდე რამოსს კი სხვა ფავორიტები ჰყავს.



მან მთავარი მწვრთნელის დიკ ადვოკაატის საუნდა გადაწყვიტოს. ჰოლანდიელ მწვრთნელს ავსტრალიის ნაკრების გაძღოლას სთავაზობენ. ავსტრალიელებმა მას სარფიანი კონტრაქტი გაუმზადეს. არანაკლებ სარფიანია პეტერბურგელთა შეთავაზებაც. "ზენიტში" დარ-

60065

R33ME633%3

ფერნანდო ორსისა და მასიმო ფიკადენტის შემდეგ, შესაძლოა, ანდრეა მანდორლინი მესამე მწვრთნელი გახდეს სერია A-ში, ვისაც თანამდებობის დატოვება ვადაზე ადრე მოუწევს. კვირას, "სიენამ" საკუთარ მოედანზე "ლივორნოსთან" ტოსკანური დერბი წააგო (2:3). გუნდს ერთადერთი მოგება აქვს და 9 ქულით ბოლო ადგილებს იყოფს ოთხ სხვა კლუბთან ერთად. დღეს, მანდორლინი "სიენის" გენერალურ მენეჯერ ჯოვანი სტრონატის უნდა შეხვდეს და საბოლოოდ გაარკვიოს თავისი მომავალი. ის ფაქტი, რომ კლუბმა მწვრთნელი ბოლო შეხვედრაში წაგებისთანავე არ დაითხოვა, მეტყველებს იმაზე, რომ მას რაღაც შანსი ჯერ კიდევ აქვს. სავარაუდოდ, სინიორ ანდრეას კიდევ მისცემენ დროს. იტალიის ჩემპიონატში ახლა სანაკრებო პაუზაა და მანდორლინის საშუალება ეძლევა, პრობლემებს მშვიდად ჩაუღრმავდეს. თუმცა ეს დრო იმისთვისაც შეიძლება გაიიყენონ, რომ "არენა მონტეპასკიზე" ახალი მწვრთნელი მივიდეს..

უკვე მიდის საუბრები იმაზე, რომ შეიძლება აოსტზე დაბრუნდეს მარიო ბერეტა, რომელმაც გასულ სეზონში გუნდს სერია A-ში ადგილი შეუ-ნარჩუნა. მინიშნებები კეთდება ზდენეკ ზემანზე, ემანუელე მონდონიკოსა და ფრანჩესკო გვიდო ლინზეც. თუმცა ეს მხოლოდ ჭორებს ჰგავს. მოდით, გავიგოთ, რას ფიქრობს სიენელთა გენერა-ლური მენეჯერი სინიორ სტრონატი:

"ყველა აპროტესტებს გუნდის უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. კატასტროფული შედეგები გვაქვს. მართალია, "ლივორნოს" ბედმაც გაულიმა, მაგრამ მთავარია ის, თუ რა ხდება სატურნირო ცხრილში. ამიტომ, მანდორლინისთან სერიოზული საუბარი გვექნება. რაც შეეხება ბერეტას დაბრუნებას, არა მგონია, ჩვენი მხრიდან ეს ლოგიკური ნაბიჯი იყოს. სიმართლე გითხრათ, მანდორლი-ნის ალტერნატიკაზე ჯერჯერობით არ გვიმსჯე-ლია. შუა ჩემპიონატში მწვრთნელის შეცელა ყოველთვის პრობლემასთანაა დაკავშირებული. შეიძლება, ამან კიდევ უფრო უკან დაგვნიოს. ასე რომ, ჯერ უნდა დავრნმუნდეთ, აქვს თუ არა მანდორლინის ძველებური მოტივაცია". თავად მანდორლინი კი ენთუზიაზმის ნაკლებო-

ბას არ უჩივის: "ჩემს მომავალთან დაკავშირებით არანაირი ეჭვი არ მაქვს. თუ კლუბის ხელმძღვანე-ლობა მკითხავს, მსურს თუ არა "სიენაში" მუშაობის გაგრძელება, ვუპასუხებ, რომ ახლა უფრო მეტი მოტივაცია და ენთუზიაზმი მაქვს, ვიდრე სეზონის დასაწყისში. მე მჯერა ამ ბიჭების და დარწმუნებულიც ვარ, რომ მათ მეტი შეუძლიათ და მეტსაც იმსახურებენ. ჩვენ ამას მალე დავამტკიცებთ, თუკი ერთად. მუშაობის საშუალება მომავალშიც გვექნა".



ირლინის გადაყენება ემუქრება

0680K3070M5k08 C0M30056

ൌപ് സെപ്രം ദുഴെ 3M2633BNULO3UL U9633U7E

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲒᲐ...

გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლია და ამრიგად, ბოლო ორ შეხვედრას (კვიპროსსა და უელსთან) ბუნდესგუნდისთვის მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს. მოკლედ, სანაკრებო თვალსაზრისით გერმანიას ყველაფერი წესრიგში, მეტიც, იდეალურად აქვს, რადგან ბუნდესგუნდი პირველი იყო, ვინც ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. სამაგიეროდ, იმავეს ვერ ვიტყვით გერმანულ საკლუბო ფეხბურთზე. რაც დრო გადის, გერმანული კლუბები ევროტურნირებზე სულ უფრო და უფრო სამარცხვინოდ გამოდიან. ასე მოხდა გასულ კვირასაც: ჩემპიონთა ლიგაში "ვერდერმა" და "შტუტგარტმა" ნააგეს, "შალკემ" კი ფრეს გამოჰკრა ხელი; უეფას თასზე, "პაიერნმა" "ბოლტონს" ვერ მოუგო, "ნიურნბერგი" "ევერტონთან" დამარცხდა, "ლევერკუზენი" კი მოსკოვის "სპარტაკთან". შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საკლუბო ფეხბურთმა დროებით ასპარეზი სანაკრებოს დაუთმო, ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის წინა პლანზე მაინც საკლუბო ფეხბურთი რჩება. გერმანიის ნაკრების თავკაც იოახიმ ლიოვს "კიკერის" კორესპონდენტი სწორედ გერმანული კლუბების უნიათობაზე ესაუბრა...

ჰერ ლიოვ, ევროტურნირებზე განცდილი მორიგი კრახის შემდეგ გულშემატკივრები გაოგნებულნი გაოგნებულ არიან და ნარუმატებლობების მიზეზებს ეძებენ. თქვენ თუ იცით, რატომ ვერ ახერხებენ გერმანული კლუბები ევროპაში წარმატების მიღწევას?

- თუ ყველა გუნდს ყველა წამყვანი ფეხბურთელი მწყობრში ეყოლება და

ტრავმიანობა არ გატანჯავს, მაშინ ნებისმიერ გერმანულ კლუბს შეუძლია წარმატების მიღწევა, მაგრამ როგორც კი რამდენიმე ძირითადი შემადგენლობის წევრი დაუშავდებათ, მაშინვე სუსგდებიან. ეს იმის ბრალია, რომ გერმანულ კლუბებს ძალიან მოკლე ან ცუდი სათადარიგოთა სკამი აქვთ.

- კლუბების ხელმძღვანელები ამბობენ, რეგულარულად უდიდესი სტრესის ქვეშ ვართ და ესეც არ იყოს, უფულობა გეტანჯაესო.

- ვფიქრობ, ამის თქმა უდიდესი სისულელეა და ეს უფრო ალიბის ძებნას ჰგავს, ვიდრე საღ აზროვნებას. დარწმუნებული ვარ, რომ რომან აბრამოვიჩის დარი ადამიანი გერმანულ კლუბს არასდროს იყიდის და ამას თავისი მიზეზები აქვს. მიუხედავად ამისა, ჩვენ აბრამოვიჩის მილიარდების გარეშეც შეგვიძლია ისეთი გუნდის გაკეთება, რომელიც მის "ჩელსის" კონკურენციას გაუწევს. ამი-სათვის კი საჭიროა, რომ უფულობის გამო კი არ ვჩიოდეთ, არამედ რეალური მიზეზები ვეძებოთ, რაც მრავლადაა.

- მაგალითად?

ეს ელემენტარული საკითხებია. ერთ წელიწადზე მეტია, რაც გერმანულ გუნდებს სხვადასხვა ასპექტში ვამოწმებთ. მაგალითად, ესენია: ორთაბრძოლები, პასის სისწრაფე, პასის სიზუსტე, ბურთის მიღება და განაწილება, ასწრაფება და ა.შ. შესაბამისად, ჩვენ უკვე გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ გუნდების ნაკლოვანებები დავინახოთ და გავიგოთ, საერთაშორისო სტანდარტის რომელ საფეხურზე ვართ ამჟამად. - საერთაშორისო სტანდარტს რო-

მელი საზომებით ზომავთ?

- მაგალითად, უნდა დავითვალოთ, რამდენ გოლს უშვებს გუნდი სტანდარმდგომარეობებიდან, რამდენ უსარგებლო და აბსოლუტურად არასაჭირო ჯარიმას იკიდებენ ფეხბურთელები და ა.შ. როცა გუნდს ორთაბრძოლებში უჭირს, ეს პრობლემა უნდა გა-დაიჭრას - ეს ხომ ელემენტარულია! დიდ გუნდებს ამ მხრივ პრობლემები

არასდროს ექმნებათ, რადგან "ბარსელონის", "მანჩესტერისა" და "მილანის" ფეხბურთელები ასეთ ელემენტარულ შეცდომებს არ უშვებენ. სწორედ ამ ასპექტებს უნდა მივხედოთ და თანაც, რაც შეიძლება სწრაფად

- ეს როგორ უნდა მოხდეს?


- საფეხბურთო სკოლებიდან უნდა დავიწყოთ. ყველა მასწავლებელი ვალ-დებული უნდა იყოს, რომ ბავშვს ერთი ელემენტარული შეცდომაც კი არ აპატიოს. ყოველთვის უნდა შეუსწოროს და შესაპამისად, 24-25 წლის ასაკში ის ასეთ შეცდომებს აღარ დაუშვებს. მაგალითად, როცა ბავშვი პიანინოს დაკვრას სწავლობს, მასწავლებელი არასწორ ტონზე ყოველთვის უთითებს. შესაბამისად, კონცერტის ჩატარებაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა

ყველა აკორდი ზუსტი იქნება. - მოკლედ, მწვრთნელებს აკრიტი-

ხომ იცით, მე არც ბუნდესლიგის გაკრიტიკება მიყვარს და არც იქ მოთა-მაშე გუნდების მწვრთნელებისა. ყველამ თავის საქმეს უნდა მიხედოს და თავისი საქმისთვის უნდა აგოს პასუხი. შესაბამისად, ყველამ ისე უნდა იმუშაოს, რო-გორც საჭიროდ მიაჩნია, მაგრამ ჩემი აზრით, სამწვრთნელო კოლეჯებსა და უნი-ვერსიტეტებში ბევრი რამ უნდა შეიცვალოს. ახლა ამ საკითხზე მათიას ზამერი მუშაობს და შესანიშნავი იდეები აქვს

კარლ-ჰაინც რუმენიგე ამბობს, ბუნდესლიგა ინგლისის, ესპანეთისა და იტალიის ჩემპიონატებს ფინანსურად კონკურენციას ვერ უწევს, რაც სპორტულ მხარეზეც აისახებაო...

პირადად ჩემთვის ნამდვილად არ არის გასამართლებელი საბუთი ის, რომ სხვა გუნდს მეტი ფული აქვს. მო-დით, იმაზეც დავფიქრდეთ, რატომ აქვს რომის "ლაციოს" "ლევერკუზენზე" მეტი ფული? იქნებ იმიტომ, რომ "ლაციოს" უფრო უკეთესი კონცენფცია აქვს? ინვესტორი ფულს იქ ჩადებს, სადაც კარგად ჩამოყალიბებული კონ-ცენფცია იქნება და სადაც სწორ, მი-



იოახიმ ლიოვი: გერმანულ კლუბებს ფილოსოფია არ უვარგათ

ზანმიმართულ და აზრიან ფილოსოფიას დაინახავს. მაგრამ ესეც არ იყოს, ფული მთავარი არ არის და დიდი ინვესტორის გარეშეც შეიძლება კარგი გუნდის გაკეთება.
- რას გულისხმობთ?

- ოას გულისითოთ:
- მთავარი მაინც ფილოსოფიაა: რომელი მწვრთნელი მჭირდება ამ საქმისთვის? რა იქნება ეტაპობრივი მიზნები?
როგორი ფეხბურთელები მჭირდება?
როგორი ფეხბურთელები ითითმაშოს გუნდმა? ამ კითხვებზე პასუხების გაცემის შემდეგ კი, ყველაზე მთავარი ჩამოცალიბებული ფილოსოფიის განხორ-ციელებაა. როცა გუნდი ერთი სეზონის განმავლობაში სამ მწვრთნელს გამო-იცვლის და თანაც, სამივე სპეციალის-ტი ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებული ფსიქოლოგიისა და მისწრაფებების იქნება, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ გუნდს ხელმძღვანელები არ უვარგა.
- გერმანიის ნაკრებს ორი წელი

დასჭირდა იმისათვის, რომ ფეხზე წა-

მომდგარიყო. ბუნდესლიგას რამდენი ხანი დასჭირდება?

- არ ვიცი, ვერ გეტყვით. უნდა გა-ვითვალისწინოთ, რომ გერმანული საკლუბო ფეხბურთის სახით უფრო ფართომასშტაბიან საკითხთან გვაქვს საქმე, ვიდრე გერმანიის ნაკრები იყო. ჩვენ, ბუნდესგუნდში მოსვლის დღესვე ვთქვით, რომ შემტევი ფეხბურთი გვინდოდა და გერმანიის ნაკრები მას მერე სულ შემტევ ფეხბურთს თამაშობს. თითოეულმა გერმანულმა კლუბმა ჯერ საკუთარი ფილოსოფია უნდა ჩამოაყა-ლიბოს და მერე მის განხორციელებაზე იზრუნოს. თორემ უკვე აუტანელია ის, რომ ერთ სეზონში "მაინცი" გაიგიჟებს თავს და უეფას თასზე გავა, მაგრამ მომდევნო წელს ჩაფლავდება და გავარდება. მერე "ნიურნბერგი" გააკე-თებს იმავეს, მაგრამ შემდეგ წელს ისიც ფლავდება. სადამდე უნდა გაგრძელდეს ეს ყველაფერი?

გოტფრიდ ლენცი



ხუანდე რამოსი და მისი ასისტენტი გუსტავო პოიეტი

"ტოტენჰემი" მეკარეს ეძებს. **ხუანდე რამოს**მა შალკელ მანუელ ნოიერსა და უდინელ სამირ ჰანდანოვიჩს დაადგა თვალი. ნოიერი 21 წლისაა, ჰანდანოვიჩი - 23-ის. იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე რამოსი პოლ რობინსონის გაყიდვას შეეცდება. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ინგლისის ნაკრების გოლკიპერს "მანჩესტერ სიტი" ეპატიჟება. "სიტის" თავკაცი სვენ გორან ერიქსონი რობინსონს ეროვნული გუნდიდან იცნობს. პოლი შისი შეუცვლელი პირველი ნომერი იყო. რამოსს "რეინჯერსისა" და შოტლანდიის ნაკ-

&M&063030

479WP97 ხელები **470373067**

രന്ദ്രാലെന്നു യാ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲔᲫᲔᲑᲔᲜ

რების მარჯვენა მცველის <mark>ალან ჰატონის</mark> შეძენაც სურს. ჰატონი 22 წლისაა. ის **პასკალ შიმბონდას** შემცვლელად განიხილება. შიმბონდამ "ტოტენჰემიდან" ნასვლა გადაწყვიტა. მან აგენტს ახალი სამსახურის მოძებნა დაავალა. ამ ინფორმაციას გაზეთი "ობზერვერი" ავრცელებს. ამავე გამოცე-მაში ვკითხულობთ, რომ "ტოტენპემმა" მოლაპა-რაკებათა დაწყება შესთავაზა "ესპანიოლს". რამოსის ყურადღება ბარსელონელთა 24 წლის ცენტრალურმა მცველმა დანიელ ხარკემ მიიპყრო. ის

12 მილიონი ევრო ღირს. იანვარში "უაით ჰართ ლეინიდან" აბარგებას აპირებს დიმიტარ ბერბატოვიც. რამდენიმე დღის წინათ ის "მამლების" სპორტული დირექტორს დემიენ კომოლის შეხვდა. კომოლიმ მიმომხილველებს აუწყა, რომ ხუანდე რამოსს ბერბატოვთან თანამშრომლობის გაგრძელება სურდა. მეორე დღეს ბულგარულმა გაზეთებმა ბერბატოვის მამის კომენტარი გამოაქვეყნეს. ივან ბერბატოვი თავდამსხმელის საქმეებს უძღვება. ინტერვიუში ითქვა, რომ დიმიტარს ლონდონიდან აბარგება სურს. ამიტომაც მამამისი სასწრაფოდ ინგლისში გაემგზავრა, მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა. აქვე შეგახსენებთ, რომ გასულ ზაფხულს ბერ-ბატოვს "მანჩესტერ იუნაიტედში" გადასელაც კი უნინასნარმეტყველეს.

ბრიტანეთის უმდიდრესი ფეხბურთელების სიას კვლავ დევიდ ბექჰემი უდგას სათავეში. მისი ქონება 112 მილიონ გირვანქადაა შეფასებული. მე-ორეადგილოსანი **მაიკლ ოუენი** მასზე სამჯერ ღარიბია. "ნიუკასლის" თავდამსხმელმა სულ რაღაც 37 მილიონ გირვანქას მოუყარა თავი. მესამე ადგილზეა **რობი ფაულერი.** "კარდიფ სიტის" ვეტე-რანი ვარსკვლავის ქონება 30 მილიონ გირვანქას შეადგენს. უმდიდრესი ფეხბურთელების გარდა, ჟურნალმა "ფორ ფორ თუმ" ბრიტანულ ფეხბურთში მოღვანე უმდიდრესი ადამიანების სიაც გამოაქვეყნა. ცვლილება არც ამ სიის პირველ საფე-ხურს შეხებია. "ჩელსის" ბოსი **რომან აბრამოვიჩი**, თავისი 10.8 მილიარდი გირვანქით ერთპიროვნული ლიდერია. მესამე ადგილზე მოკალათდა სიის დებიუტანტი, კიდევ ერთი რუსი ოლიგარქი ალი-შერ უსმანოვი. მან "არსენალში" სოლიდური წილი



დევიდ ბექჰემი უმდიდრესი ბრიტანელი ფეხბურთელია

UPCEFER ECTU &7 79479W3UKU

ᲒᲠᲘ**ᲢᲐᲜ**ᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ **Მ**ന്നുടാടാ മടരിക്കാല 806M3603020F ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ

შეიძინა. ამიტომ ავტომატურად ერგო ადგილი "ფორ ფორ თუს" რეიტინგში. უსმანოვის ქონება 2.76 მილიარდ გირვანქას შეადგენს. მეოთხე ადგილი ასევე დებიუტანტ **ბერნი ეკლსტოუნს** შეხვდა. მოგეხსენებათ, ორი თვის წინათ ფორმულა 1-ის ბოსმა ქვედა დივიზიონის კლუბი "ქუინზ პარკ რეინჯერსი" შეიძინა. ეკლსტოუნის ქონება 2.5 მილიარდ გირვანქას შეადგენს. უმდიდრესი ფეხბურთე-ლებისა და საფეხბურთო ჩინოვნიკების ათეულები

ფეხგურთელეგი - დევიდ ბექჰემი (ლოს ანჯელეს გალაქსი, 112 მილიონი გირვანქა), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი, 37 მილიონი), **რობი ფაულერი** (კარდიფ სიტი, 30 მილიონი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტე-დი, 30 მილიონი), სოლ კემპბელი (პორტსმუთი, 28 მილიონი), ანდრეი შევჩენკო (ჩელსი, 25 მილიონი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი, 25 მილი ონი), რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი, 23 მილი-ონი), მიხაელ პალაკი (ჩელსი, 18 მილიონი), სტივ ჯერარდი (ლივერპული, 15 მილიონი);

ჩინოვნიკები - რომან აბრამოვიჩი (ჩელსი, 10.8 მილიარდი გირგანქა), ჯო ლუისი (ტოტენჰე-მი, 2.8 მილიარდი), ალიშერ უსმანოვი (არსენალი, 2.76 მილიარდი), გერნი ეკლსტოუნი (ქუინზ პარკ რეინჯერსი, 2.5 მილიარდი), მაიკლ ეშლი (ნიუკას-ლი, 1.6 მილიარდი), დერმოტ დესმონდი (სელტი კი, 1.6 მილიარდი), მალკოლმ გლეიზერი (მანჩეს-ტერ იუნაიტედი, 1.25 მილიარდი), სტენლი კროენ-კე (არსენალი, 1.2 მილიარდი), ტრევორ ჰემინგსი (პრესტონი, 980 მილიანი), ლორდ ეშკროფტი (უოტფორდი, 950 მილიონი).



3500660

903999UP 904339VP

ᲰᲘᲢᲪᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲨᲐᲕᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ, ᲠᲣᲛᲔᲜᲘᲒᲔᲛ ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲘ ᲐᲐᲗᲐᲛᲐᲨᲐ...

"შტუტბარტთან" მატჩის შემდეგ, რომელიც "ბაიერნმა" 1:3 წააგო (პირველი მარცხი მიმდინარე სეზონში),
ბავარიული გიგანტის მთავარ მწვრთნელ ოტმარ ჰიტცფელდს ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ლუსიოს გაძევეგაზე ჰკითხეს. "გენერლის" პასუხი
მოკლე და კონკრეტული იყო: "მან
ნერვები ვეღარ მოთოკა." საინტერესო კი ისაა, რომ ჰიტცფელდის ეს განცხადება არა მხოლოდ ლუსიოს, არამედ მთელ გუნდს ესადაგება. ფაქტი ის
გახლავთ, რომ ხუთშაბათის შემდეგ
მიუნხენურ კლუბში არაფერი აღარ
არის ისე, როგორც მანამდე იყო.

მაინც რა მოხდა ხუთშაბათს? ისეთი არაფერი: "ბაიერნმა" უეფას თასზე "ბოლტონს" ვერ მოუგო (2:2), მაგრამ სწორედ იქიდან დაიწყო ყველაფერი. "ბოლტონთან" ფრეს სეზონის პირველი მარცხი მოჰყვა, რის გამოც რეკორდმაისტერს მდევრები ძალიან მიუახლოვდ ნენ ("ვერდერი" და "ჰამბურგი" მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან). ერთი სიტყვით, სულ რაღაც 46 საათსა და 15 წუთში, "ბაიერნში" ყველაფერი თავდაყირა დადგა.

ყოველივე "ბოლტონთან" ფრის შემდეგ დაინყო. იმის გამო, რომ ჰიტცფელდმა ხსენებულ შეხვედრაში ძირითადი ფეხბურთელების, ფილიპ ლამისა და მარტინ დემიკელისის დასვენება
გადაწყვიტა, ხოლო მოგვიანებით კი,
როცა ჯერ კიდევ არაფერი იყო გადაწყვეტილი, მოედნიდან მატჩის საუკეთესო ფეხბურთელები, ფრანკ რიბერი და
ლუკას პოდოლსკი გაიყვანა, გუნდის
ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ოტმარსა და მის შეგირდებზე
ასეთი რამ თქვა: "მწვრთნელი ვალდე-


ბულია, ყოველთვის საუკეთესოები ათამაშოს. ფეხბურთელები გი ვალდე-ბულები არიან, ყველა თამაშში 100 პროცენტით დაიხარჯონ. ფეხბურთს არც ექსპერიმენტები უყვარს და არც სიზარმაცე, ახლა ნამდვილად არ იყოროტაციის დრო."

ეს ყველაფერი კი, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. მას მერე, რაც ჰიტცფელ- დი რეკორდმაისტერში დაბრუნდა, ეს პირველი შემთხვევაა, როცა ხელმძღვა- ნელთაგან მისდამი კრიტიკა ისმის. შესაბამისად, გაჩნდა კითხვა: რატომ? რა იმალება რუმენიგეს სიტყვების უკან? სპონტანური აფეთქება თუ გარკვეული სტრატეგია?

აი, კალეს განცხადების გაგრძელებაც: "როცა 66 000 მაყურებელი სტადიონზე მოდის, თითოეულ მათგანს საუკეთესო ფეხბურთელებისა და იდეალური ფეხბურთის ხილვა სურს. მათ აქვთ უფლება, რომ ეს ყველაფერი მოითხოვონ. ფეხბურთი არ არის მათემატიკა!" – უნდა შეგახსენოთ, რომ ჰიტცფელდი პროფესიით მათემატიკის მასწავლებელია.

ფაქტია, რომ რუმენიგეს გაბრაზება "ბოლტონთან" ვერმოგებამ გამოინვია – "ბაიერნმა" ხომ მატჩის მიწურულს დაკარგა სამი ქულა. არადა, რომ მოეგო, ჯგუფიდან გასვლას, ფაქტობრივად, გაინაღდებდა. "ბაიერნი" ჯგუფიდან მაინც გავა და ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა - რუმენიგემ ჰიტცფელდს "უკბინა". ოტმარს უნდოდა, რომ ამ ორ თამაშზე ("ბოლტონსა" და "შტუტგარტთან")

ოტმარს უნდოდა, რომ ამ ორ თამაშზე ("ბოლტონსა" და "შტუტგარტთან") ძალები თანაბრად გადაენაწილებინა, რადგან გუნდს შუალედში, დასვენებისთვის მხოლოდ ერთი დღე ექნებოდა. გარდა ამისა, "გენერალი" მატჩის წინ



პირველად, დაბრუნების შემდეგ: რუმენიგემ ჰიტცფელდი გააკრიტიკა

არ მალავდა, რომ "შტუტგარტთან" თამაში მისთვის უფრო დიდ მნიშვნელო-ბას ატარებდა. შესაბამისად, ხუთშაბათის შემდეგ მან როტაცია განაგრძო და ძირითადი შემადგენლობა 6 პოზიციაზე შეცვალა. ამით ყველაზე მეტად, ორი ფეხბურთელის უკმაყოფილება გამო-იწვია: **ლუკა ტონი** სულ იმეორებს, რომ თუ რეგულარულად არ თამაშობს, პრობლემები ექმნება, მარკ ვან ბომელი კი დაუფარავად აცხადებს, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მისთვის ჯოჯობეთია. რაკი ჰიტცფელდმა ჰო-ლანდიელი "ბოლტონთან" ათამაშა, "შტუტგარტთან" უკვე სკამზე დასვა, რამაც გუნდში ბევრ მოთამაშეს შეუც-ვალა პოზიცია – ვან ბომელის ადგილი (საყრდენის პოზიციაზე, ზე რობერტოს გვერდით) ჰამით ალთინთოფმა დაიკაგეკ, რომელსაც დიდი ხანია, ამ პოზიცია-ზე აღარ უთამაშია. მარჯვნივ კი **რიპე**რი დადგა, რომელიც არ მალავს, რომ მარცხნივ უფრო კარგად გრძნობს თავს. მის ადგილზე კი, ანუ, მარცხნივ, ჰიტცფელდი 17 წლის **ტონი კროოსს** ენდო, რომელმაც იმედები ამჯერად ვერ გაუმართლა. ბოსები კი ელოდნენ, რომ ჰიტცფელდი ხუთშაბათის შემდეგ როტაციას დაასრულებდა და მოედან ზე ისევ საუკეთესო თერთმეტეულს გაიყვანდა. რიბერი, კლოზე და ტონი - ბა-ვარიელებს ეს ტრიო 50 მილიონი და-უჯდათ. ამიტომაცაა, ბოსები გასულმა კვირამ ძალიან რომ აანერვიულა. "ბაი-ერნს" ხომ მდევრები მიუახლოვდნენ.

როცა რუმენიგე ამბობს, რომ მისი აზრით, კრიტიკა დახმარებაა, გარედან ისე ჩანს, თითქოს ის ჰიტცფელდს ჯერ ერთი რჩევას აძლევს და გარდა ამისა, აფრთხილებს, მეორედ ასე აღარ მოიქცეო. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ბავარიელებს ოტმართან კონტრაქტის გაგრძელება სურთ. ცნობილი იყო, რომ თვითონ "გენერალიც" დაინტერესებული გახლდათ მოლაპარაკებების დაწყებით. ხუთშაბათამდე ე.წ. "გეგმა B" არ არსე-ბობდა. მაგრამ ხუთშაბათის შემდეგ გუნდში ფეთქებადი სიტუაციაა, რაც შაბათს განცდილმა მარცხმა კიდევ უფრო გაამძაფრა. ახლა უკვე ცხადია, რომ ორივე მხარე ლოდინს ამჯობინებს – ხელმძღვა ნელები მწერთნელის ახალ სტრატეგიას დაელოდებიან, მწერთნელი კი იფიქრებს საკუთარ შეკითხეაზევე, სჭირდება თუ არა 58 წლის ასაკში ამდენი დავი-დარაბა.

ხუთშაბათამდე ჰიტცფელდმა თქვა, საქმე იქითკენ მიდის, რომ ახალ კონტ-რაქტს გავაფორმებო, რაზეც რუმენიგემ პარასკევს მოულოდნელი კომენტა-რი გააკეთა, კონტრაქტის გაფორმებისთვის ყოველთვის ორმხრივი თანხმობაა საჭიროო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჰიტცფელდისთვის ახალი ხელშეკრულების შეთავაზება აღარც გუნდის მხრიდანაა 100 პროცინტათ გალაწყვიტით.

100 პროცენტით გადანყვეტილი. როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის ფონზე რამდენად რეალურია ის, რომ "ბაიერნმა" ჰიტცფელდს კონტრაქტი გაუგრძელოს? თვითონ ოტმარი ამბობს, მშვიდად ვარ და არაფერზე ვნერვიულობ, რადგან "ბაიერნისთვის" ასეთი ამბები ყოველთვის დამახასიათებელი იყოო. ჩვენი გერმანელი კოლეგების
ნაწილი კი იმაზე ალაპარაკდა, რომ რუმენიგე ოტმარს ხელს შვეიცარიისკენ
ჰკრავს. როგორც იცით, ჰიტცფელდს
შვეიცარიის ნაკრების მთავარი
მწვრთნელის პოსტს სთავაზობენ. მან
არაერთხელ დაადასტურა, რომ ორი ვარიანტი აქვს, "ბაიერნი" ან შვეიცარია.
თუ კრიტიკა გაგრძელდება, ოტმარმა
შესაძლოა იფიქროს, რისთვის ვიტკიებ
თავსო და ზაფხულიდან შვეიცარიისკენ
აილოს გეზი. ან იქნებ "ბაიერნის" შე-

ფებსაც სწორედ ეს უნდათ?
რუმენიგე: "ვფიქრობ, სულაც არაა
გასაკვირი ის, რომ შტუტგარტში განცდილმა მარცხმა, მანამდე კი "ბოლტონთან" უაზროდ დაკარგულმა ორმა ქულამ ძალიან გამაბრაზა, მაგრამ ეს იმას
არ ნიშნავს, რომ ჰიტცფელდთან პრობლემა მაქვს. სანამ ჩემგან კრიტიკა ისმის, ე.ი. ოტმარს მწვრთნელად და ჩემს
მეგობრად აღვიქვამ. აი, როცა აღარაფერს ვიტვი, მაშინ უნდა მიფრთხილდეს
ნებისმიერი, რადგან როცა არაფერს
ვამბობ, ე.ი. მოქმედებაზე გადავდივარ."

ჰიტცფელდი რუმენიგესთან დიალოგის საჭიროებაზე ალაპარაკდა და მათ შორის საუბარი შედგა კიდეც. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ხუთშაბათიდან დღემდე, წაგებულად მხოლოდ ოტმარი მიიწნევა.

გოტფრიდ ლენცი



ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲘ

473339 603941

ᲒᲠᲐᲖᲘᲚᲘᲔᲚᲘᲡ ᲝᲪᲜᲔᲒᲐ ᲓᲔᲚ ᲞᲘᲔᲠᲝᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ...

ბასულ შაბათს "ვერდერის" გამთამაშებელმა დიეგომ მთელი ბრემენი კიდევ ერთხელ, ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ, აღაფრთოვანა. თუკი "ლაციოსთან" "მისი დღე არ იყო", "კარლსრუესთან" შეხვედრაში ის მოედნის ცენტრის აბსოლუ-

ტური ბატონ-პატრონი გახლდათ და თავისი საფირმო სოლორეიდებით მოწინააღმდეგეებს თავბრუს ახვევდა. თანაც, დუბლი შეასრულა, საგოლე პასიც მიითვალა და საერთოდ, 90 წუთის განმავლობაში ბურთს 89-ჯერ შეეხო. იტალიური "ტუტოსპორტის" ცნობით, დიეგოს გადაბირების სურვილი ტურინის "იუვენტუსის" ხელმძღვანელებს გაუჩნდათ. ხსენებული გაზეთის მტკიცებით, იტალიის 27-გზის ჩემპიონი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ ბრაზილიელი ფლეიმეიქერი მომავალ ზაფხულს ჩრდილოეთ იტალიაში წაიყვანოს. ჩვენი იტალიელი კოლეგების ცნობით, "იუვეს" დიეგოს შეძენა ჯერ კიდევ 2004 წელს სურდა, მაგრამ მაშინ "ბებერი ქალბატონის" შეფებმა ვეღარ გარისკეს, სამაგიეროდ გარისკა "პორტუმ" და როგორც გახსოვთ, დიეგო "სანტოსიდან" გადაიბირა.

კოპა მერიკაზე ასპარეზობისას 22 წლის ბრაზილტელმა განაცხადა, რომ მისი ოცნება იტალიაში თამაშია. "ტუტოსპორტი" მისი სიტყვების ციტირებას ახდენს: "სერია A-ში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობ. ალესანდრო დელ პიერო ჩემი
ერთ-ერთი უსაყვარლესი ფეხბურთელია და მის
გვერდით თამაში კი, ჩემი ოცნება." ასე რომ, თუ
"იუვენტუსის" ბოსები "ვერდერს" დაუკავშირდებიან და დიეგოზე ჩამოუდგებენ სიტყვას, ფაქტია,
რომ ბრაზილიელი ტურინში გადასვლაზე უარს
არ იტყვის. თანაც, მას იტალიასთან სხვა კავშირიც აქვს: მისი ოჯახი სანტ ანჯელო ლოდიჯიანოდანაა. ეს არის პატარა ქალაქი ჩრდილოეთ
იტალიაში.

დიეგომ "ვერდერთან" კონტრაქტი ცოტა ხნის წინათ 2011 წლამდე გააგრძელდა. საინტერესოა, რამდენს მოითხოვს ბრემენული კლუბი მის სანაცვლოდ? ცნობილია, რომ "მუსიკოსებს" თავიანთი იდერის გაყიდვა არ სურთ, მაგრამ თუ ფეხბურთელმა ნასვლა მოისურვა, ვერ დააკავებენ. ახალ კონტრაქტში არ არის მითითებული ის თანხა, რომლის სანაცვლოდაც "ვერდერი" დიეგოს შეელევა, მაგრამ ცნობილია, რომ მისი ფასი სატრანსფერო ბაზარზე დღესდღეობით 20 მილიონი ევროა. ტურინელებს კი გეგმაში გუნდის გაახალგაზრდავება აქვთ, რათა გაისად ჩემიონთა ლიგაში ომახიანად დაბრუნდნენ. დღესდღეობით "იუვეს" საშუალო ასაკი 28 წელია, რაც ბოსებს არ აკმაყოფილებთ. თვითონ დიეგოსაც ძალიან უნდა, რომ ჩემპიონთა ლიგაში სერიოზული მიზნებისთვის იბრძოდეს, "ვერდერთან" ერთად კი, ეს ჯერ-ჯერობით შეუძლებელია...

გოტფრიდ ლენცი

ᲓᲔ ᲒᲣᲖᲛᲐᲜᲡ ᲒᲔᲖᲘ ᲩᲔᲚᲡᲘᲡᲥᲔᲜ ᲣᲭᲘᲠᲐᲕᲡ?

"ჩელსი" "ფეიენოორდის" ცენტრალური ნახევარმცველით ჯონათან დე გუზმანით დაინტერესდა. "სანის" ცნობით, 20 წლის კანადელი იანვრის ბაზარზე "არისტოკრატების" პირველი შენაძენი გახდება. როტერდამელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს ითხოვენ. დე გუზმანმა "ფეიენოორდთან" ახალი კონტრაქტი ერთი თვის წინათ გაფორმა. ის კლუბში 2010 წლამდე უნდა დარჩეს. სხვათა შორის, დე გუზმანს ჰოლანდიის ნაკრებში ეპატიჟებიან. ყმაწვილს კანადასა და ჰოლანდიას შორის არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია. მისი უფროსი ძმა ჯულიან დე გუზმანი ლა კორუნიის "დეპორტივოში" თამაშობს. ის კანადის ნაკრების წევრია.


ᲘᲖᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘ: ᲡᲞᲝᲠᲒᲘᲜᲒᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲐᲜᲩᲔᲡᲒᲔᲠᲨᲘ?

მოსპოვის "ლოკომოტივის" ნახევარმცველი მარატ იზმაილოვი, შეიძლება, "მანჩესტერ სიტიში" გადავიდეს. ამ ინფორმაციას რუსული გამოცემა "სპორტ-ექსპრესი" ავრცელებს. იზმაი-ლოვი ერთნლიანი იჯარით ლისაბონის "სპორ-ტინგში" ასპარეზობს. მისი კონტრაქტი გაისად ზაფხულში ინურება. მარატი 25 წლისა და 5 მილიონი ევრო ლირს. სპეკულაციების თანახმად, "სიტი" მზადაა, ნინასნარი ხელშეკრულება იანვარში გააფორმოს. მანჩესტერელებს კიდევ ერთი ნახევარმცველი მოუვიდათ თვალში. ისიც "სპორტინგის" ღირსებას იცავს. საუბარია 21 წლის ჟოაო მოუტინიოზე. სვენ გორან ერიქსონი ამ ბიჭს ვეტერანი დიტმარ ჰამანის შემცვლე ლად განიხილავს. მოუტინიოს "არსენალი", "ინტერი" და "რეალიც" აკვირდებიან. ლისაბონელები მას 26 მილიონ ევროდ აფასებენ, "სიტის" სხვა რგოლების გაძლიერებაც სურს. ის "გოტენჰემის" მეკარე პოლ რობინსონისა და თავდამსხმელ დიმიტარ ბერბატოვის ტრანსფერებზე



USNOJANANJJ JJAJEMENJAJE

ᲠᲘᲘᲙᲐᲐᲠᲓᲘ: ᲢᲐᲥᲢᲘᲙᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲕᲪᲕᲐᲚᲝᲗ



გოლი გაუტანეს.
"ბარსელონის" სამარცხვინო წაგებას ესპანურ პრესაში ადეკვატური შეფასება მოჰყვა. ჟურნალისტებმა მძიმე სიტყვები არ დაიშურეს. ძირითადად მსგავს შემთხვევებში ფეხბურთელები თავს იმართლებენ და ცდილობენ სხვადასხვა გარემოებით გაამართლონ მარცხი... დიახ, ეს ჩვეული მოვლენაა, მაგრამ ამჯერად "ბარსელონის" მოთამაშეები მეტისმეტად თვითკრიტიკულები აღმოჩნდ-6ენ. შემადგენლობაში არსებული განწყობის შესა-ხებ კარლეს პუიოლმა ისაუბრა: "ნებისმიერმა გრანდმა ნესბისმიერ წამს, ნეპისმიერ სუსტ გუნდთან შეიგება წააგოს. აქ წარმოუდგენელი არაფერია. ხშირად გვინახავს მსგავსი მატჩები, მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვა საკითხთან გვაქვს საქმე. ძნელია ამის დაჯერება, მაგრამ "ხეტაფესთან" "ბარსელონამ" სამარცხვინოდ იასპარეზა. სწორედეს არის მთავარი პრობლემა. ბიჭებმა გულწრფელად ვისაუბრეთ და ერთმანეთს დავეთანხმეთ, რომ გუნდს ერთსულოვნება აკლია. გამორიცხულია, მხოლოდ ცალკეული მოთამაშეების მონდომებით ფონს გავიდეთ. თუ მინდორზე მყოფი თერთმეტივე ფეხბურთელი ძვლებს არ დადებს, წარმატებას ვერასოდეს მიაღწევ. მადრიდში დავინა-ხეთ, რომ "ხეტაფე" შემართული და უაღრესად მო-ტივირებული გამოვიდა. სამწუხაროდ, მეტოქეს ასეთვივე მოტივაციით ვერ შევერკინეთ. ეს ერთი ცალკეული შემთხვევა რომ იყოს, არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ყველა ხედავს, გასვლით შეხვედრებში საკუთარ თავს არ ვგავართ. "ხეტაფემ" აბსოლუტურად ყველა კომპონენტში გვაჯობა. აი, ეს არის ის რაც, ნერვებს მაწყვეტს. აშკარა, რა ლაც უნდა შეიცვალოს. წინააღმდეგ შემთხვევაში

ნათელ მომავალზე ფიქრი უტოპიურ ელფერს შეიძენს. აუცილებელია, რომ "ბარსელონამ დაც ისევე დამაჯრებლად იასპარეზოს, როგორც

აღშფოთებულია, **ჯანლუკა ძამბროტაც**. იტალიელი "ხეტაფესთან" ავადსახსენებელ შეხვედრაში უხეშობისთვის გააძევეს. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, იტალიელმა არა ამ ფაქტზე, არამედ თამაშის ამაზრზენ ხარისხზე გაამახვილა ყურადღება: "ელ კოლისეუმზე" ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ბანდა გვყავდა და არა გუნდი. წინაალმდეგ შემტხვევაში ამდენ შეცდომას არ დავუშ-ვებდით. წარმოიდგინეთ, მასპინძლები მოედნის ცენტრში ისეთ პარიერებს გვიგებდნენ, რომ მათ საჯარიმოსთან მიახლოვებაც კი გვიჭირდა. ამავდროულად, "ხეტაფე" ძალიან სახიფათო კონტრშეტევებს აწყობდა. ამ პირობებში ვალდებულები ვი-ყავით, უფრო მეტად აქტიურად გვეთამაშა. სამწუხაროდ, ტემპი ვერ გავზარდეთ. არადა, მოვლენათა ამგვარად განვითარების შემთხვევაში "ბარსელო-ნის" სწრაფ ფორვარდებსა და ნახევარმცველებს თავისუფალი სიცვრცეების მონახვა გაუადვილდებოდათ. ყველაფერი თვალნათელი იყო. თავად მატ-ჩის მსვლელობა გვკარნახობდა სამოქმედო გეგმას, მაგრამ აბსოლუტურად ვერაფერი შევძელით. არ დაგიმალავთ, რომ სასონარკვეთილი ვარ. იმედია, სწორ დასკვნებს გამოვიტანთ და უახლოეს მომავალში ხარისხს მნიშვნელოვნად გამოვასწორებთ." პუიოლისა და ძამბროტას მოსაზრებები, რა

თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი ფრანკ რიიკაარდის შეფასებებია. უნდა მოგახსენოთ, რომ მთავარი მწვრთნელიც ძალიან თვითკრიტიკულია: "ორ-თაბრძოლის შემდეგ დანა პირს არ გვიხსნიდა. პირველ წუთებში ლაპარაკი ძალიან გვიჭირდა, თუმცა შემდეგ ძალები მოვიკრიბეთ და შეხვედრა გავაანალიზეთ. ერთხმად შევთანხმდით, რომ "ელ კო-ლისეუმზე" სამარცხვინოდ ვითამაშეთ. ეს ჩვენ არ გვეკადრება. უდავოა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ჩვენ ვალდებულები ვართ, გუნდის პრესტიჟზე ვიზრუნოთ და გავაკეთოთ ყველაფერი, რა-თა "ბარსელონა" "ბარსელონას" დაემსგავსოს. რა თქმა უნდა, საქმე მხოლოდ საუბრით არ გამოვა. აუცილებელია დაჩქარებულ ტემპში საჭირო გა-

დაწყვეტილებები მივიღოთ. როგორც მთავარი ითნელი მთელ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვილებ. უხლოეს დღეებში ტაქტიკური ცვლილებების განხორციელებაზე მუშაობას შე-ვუდგებით. "კამპ ნოუზე" კარგად ვთამაშობთ, ამი-ტომ საშინაო შეხვედრებში სტრაქტეგიას უცვლელად დავტოვებთ... აი, გასვლით პაექრობებში კი სერიოზული კორექტივების შეტანა მოგვიწევს. არ გამოვრიცხავ, ერთი ფორვარდი მოვხსნა და მის ნაცვლად ნახევარდამცველი დავამატო. შესაძლოა, ამ ნაბიჯით მოედნის ცენტრში უპირატესო-ბა მოვიპოვოთ და მეტოქეების წინააღმდეგობა უფრო იოლად გავტეხოთ. არ მინდა იფიქროთ, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ჯერ მხოლოდ გზებს ვეძებ. სულ მცირე ორი დღე დამჭირდება იმისთვის, რომ ტაქტიკა თეორიული სახით ჩამოვაყალიბო. ამის შემდეგ კი მის პრაქტიკულ განხორციელებას შევუდგებით."

რაიკაარდს "ხეტაფესთან" მატჩში განხორციელებულ ცვლილებებზეც კითხეს. მედიელებს ძა-ლიან გაუკვირდათ, რომ ჰოლანდიელმა სპეციალისტმა თამშში, რომელსაც აგებდა ლეო მესი და რონალდინიო ძალიან ადრე შეცვალა. მწვრთნელს ასეთი პასუხი ჰქონდა: "ნურავინ იფიქრებს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით მეისა და რონალდინიოს დასჯა მსურდა. უბრალოდ, იმ დღეს მათ თამაში არ წაუვიდათ და გადავწყვიტე, ენერგიული ახალგაზრ-დებით შემეცვალა. სამწუხაროდ, არც ამან გაამართლა. მინდა გითხრათ, რომ ლეოსა და რონალე დინიოს ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა არ გააჩნიათ. ისინი ბევრს მუშაობენ. მე ყველაფერს კარგად ვხედავ და მსურს იცოდეთ, რომ გარჯას აბსოლუტურად არავის დაეუკარგავ. ახლა მთავარია, კონსოლიდირება მოვახდინოთ და ინტენსიურ მუშაობას შევუდგეთ. დრო ძალიან რა ციონალურად უნდა გამოვიყენოთ. დამეთანხმებით, დრო მართლაც უმცირესია. "რეალმა" ოთხი ქულით გაგვასწრო. ეს ჩამორჩენა სასწრაფოდ უნდა აღმოვფხვრათ. ბუნებრივია, სამეფო კლუბთან ბრძოლა ურთულესი იქნება. გარადა ამისა, კონკურენციას სხვა ძლიერი გუნდებიც გაგვიწევენ. მარ-თლაც სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოგვიწევს, მაგრამ ჩვენთვის შეუძლებელი არაფერია. ასე რომ, აბსოლუტურად არაფრის გვეშინია.



ფრანკ რიიკაარდი უკმაყოფიდ

გასულ შაბათს, "ბარსელონამ" მორიგი გასვლითი ფიასკო განიცადა. კატალონიურმა გრანდმა სრული კრახი იგემა. პრიმერა დივიზიონის ტურის მიმოხილვაში ამ თემაზე უკვე ვისაუბრეთ, ამიტომ მხოლოდ ძირითად პრობლემებს შეგახსენებთ. კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა, რომ წლევანდელ "ბარსას" სტუმრად თამაში არ ეხერხება. სად "კამპ ნოუს" გუნდი და სად მოწინააღმდეგეთა მოედნებზე ტანჯული კოლექტივი. "ხეტაფემ" საოცრად პრაგმატული და მიზანდასახული ფეხბურთი წარ-

63550

WASUEUM SOWEDSONP **ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲣᲛᲘᲠᲘᲐ**

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ **ᲓᲝᲜᲐᲓᲝᲜ**ᲘᲛ **ᲢᲠᲐᲕᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲐᲕᲐᲠᲝ?**

მადრიდის "რეალმა" "მალიორკას" უმძიმესი მატჩი მოუგო. მიმომხილველები იმ შეხვედრის გმირად რობინიოს მიიჩნევენ. ასეთი მაღალი შეფასება ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ულაპარაკოდ შეიშნოვა. გუშინ რობინიომ "დიარიო მარკას" მოკლე ინტერვიუ მისცა. სამეფო კლუბის ერთ-ერთმა საუკეთე-სო მოთამაშემ აღფრთოვანება ვერ და-მალა: "ვიგრძენი, რომ "სანტიაგო ბერნაბეუს" კუმირად ვიქეცი. მთელი სტა-დიონი ფეხზე წამომიდგა და მქურაე ოვაციები მომიწყო. ასეთი ბედნიერი არასოდეს ვყოფილვარ. შეუძლებელია, მადრიდულმა პუბლიკამ ასე დაგაფასოს და შენში დიდი გარდატეხა არ მოხდეს. ახლა გაცილებით უფრო დიდ პა-სუხისმგეპლობას ვგრძნობ. ვალდებული ვარ, ხალხის სიყვარულს წარმატეპული თამაშით ვუპასუხო. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. ძალიან მკიხარია, რომ ჩემი და "რეალის" ფანტასტიკური თამაშის პარალელურად "ბარსელონა" ქულას ქულაზე კარგავს. მალე ალბათ, ბრაზილიის ნაკრებში წავალ და რონალდინიოს პირადად შევხვდები. ჩემს მეგობარს თვალებში ჩავხედავ და

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ ფაბიო კანავარო რობერტო დონადონიმ იტალიის ნაკრებში გამოიძახა. "რე-ალის" ხემძღვანელობა "სკუადრა აძურას" თავკაცის ამ გადაწყვეტილებით უკიდურესად აღშფოთებული დარჩა. საამისო მიზეზი ის არის, კანავარომ "მალიორკასთან" მატჩში ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. მადრიდელებს უკვირთ და აინტერესებთ, რა მიზნით უხმო დონადონიმ ტრავმირებულ მოთამაშეს. ისინი იმე-დოვნებენ, რომ ფეხმტკივან მცველს მოედანზე არ შეუშვებენ.




3050260250

STANDED STANDARDEDLY **JACKINGNALL**

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ ᲓᲘᲔᲒᲝᲡ ᲐᲠ ᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ ᲩᲘᲚᲔᲚᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲠᲘᲙᲔᲚᲛᲔᲡ...

ჯეთ, ორი დღის წინ მოპოვებული სამი ქულის წყალობით, გუნდი მეორე ადგილზე დამკვიდრდა. უახლოეს მდევარ 'ბარსელონას" ისინი სამი ქულით უსნრებენ. დაგვეთანხმებით, ფანტასტიკური შედეგია, თუმცა უნდა ითქვას, რომ მანუელ პელეგრინის მიერ შესრულებული სამუშაო ყველა ადამიანში ერთნაირ აღფრთოვანებას არ იწვევს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ლეგენდდარუ-ლი დიეგო არმანდო მარადონას განცხადებას შემოგთავაზებთ: "გაოგნებული ვარ იმის გამო, რაც ხუან რომან რიკელმეს თავს ხდება. ის გენიალური ფეხ-

მივხვდე, რა მოტივით არ ათამაშებს პეგორც ჩანს სენიორ მანუელ პელეგრინის ხებს, ალბათ, მას მენსტრუაცია აქვს.



ფეხბურთის ისტორიას არაერთი კურიოზული გოლი ახსოვს. ლეგენდა-რულ **გერდ მიულერს** თავის დროზე უკანალით გაუტანია, უვე ზეელერს კე-ფით, **დიეგო მარადონას** კი სულაც ხელით, რასაც შემდეგ "ღმერთის ხელი" უნოდეს. მაგრამ გასულ შაბათს "შტ-უტგარტის" თავდამსხმელმა **მარიო** გომესმა გოლი იმით გაიტანა, რითაც ჯერ (ალბათ) არავის გაუტანია!

გერმანიის წლის საუკეთესო ფეხბურთელის გოლი, რომლითაც მან "ბაიერნის" მეკარე ო**ლივერ კანი** დაამწუხ-რა, მაშინვე გენი(ტ)ალურ გოლად მოინათლა: ეს არის პირველი გოლი (ყოველ შემთხვევაში, ბუნდესლიგის ისტორიაში ნაღდად პირველია), რომელიც ფეხბურთელმა არც მეტი, არც ნაკლები, პენისით შეაგდო! ეს "შტუტგარტისა" და "ბა-იერნის" დაპირისპირების მე-10 წუთზე მოხდა: ლუდოვიკ მანინმა მარცხენა ფლანგიდან ჩააწოდა, ბურთმა კანის საჯარიმოში შეაღნია და გომესისკენ წავიდა, რომელიც შორეულ კუთხესთან მარ-ტოდმარტო, "ბაიერნის" მცველებისგან

PYUDWEL 3333363

მიტოვებული იდგა. შვაბმა გოლეადორმა ვერ მოზომა, თავით უნდა დაერტყა თუ ფეხით, საბოლოოდ კი ბურთი სასქე-სო ორგანოებთან მოხვდა და კარში შე-

"სადღაც იქ მომხვდა," - სიცილით ამბობს გომესი და იქვე ამატებს, -"ბურთი საკმაოდ დიდია და ძალიან მეტკინა, მაგრამ როცა დავინახე, რომ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, ტკივილმა მაშინვე გამიარა.

შვაბური კლუბის გულშემატკივრები კი თავიანთი საყვარელი გუნდისა და საყვარელი ფეხბურთელის გამოცოცხლებას ზეიმობენ. მათი აზრით, "ბაიერნთან" მოპოვებული ლამაზი გამარჯვება "შტუტგარტისთვის" გარდამტეხი უნდა იყოს. გომესს კი უკვე 7 აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდეს-ლიგის საუკეთესო ბომბარდირებს, ბავარიელებს, ლუკა ტონისა (9 გოლი) და მიროსლავ კლოზეს (8) სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდათ. კონკურენტი, რომელსაც გოლის გატანა პენისითაც შეუძლია..



ანუელ პელეგრიხი და ხუან რომან რიკელმე

გასულ კვირას "ვილიარეალმა" "სევილიას" უმძიმესი მატჩი მოუგო. ყველა ხედავს, რომ "ყვითლები" გასაოცარი პროგრესის გზაზე დგანან. თავად განსა-









しょきょんの3つせんし つべん36つせん しんしゅうしんしん

JManadan bykamangaban

nergenac interpretation of the state of

ლეგიონი

60336 608020340 43374420

ADE

ნიკოლოზ (კიტიშვილმა კარიერის რეკორდი სიცილიაზე დაამყარა - "ორლანდინოს" 20 ქულა ჩაუგდო. აქამდე მისი საუკეთესო მაჩვენებელი ოქტომბერში "ნაპოლის" კალათში მოთავსებული 19 ქულა იყო. რადგან ციფრებში ვტრიალებთ, იმასაც დავძენთ, რომ ცქიტოს ამერიკული რეკორდი 17 ქულას შეადგენს (შაკილ ონილის "ლეიკერსთან", 2003 წელს)

სიცილიაზე დავბრუნდეთ და ისიც ვთქვათ, რომ სკიტამ 20 ქულა(12-დან 6 ორქულიანი, 1-დან 1 სამქულიანი და 5-დან 5 საჯარიმო), 5 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი ოდენ 27 წუთში მოაგროვა. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით (19) იგი მატჩის საუკეთესო კალათბურთელი იყო, მაგრამ რად გინდა - მისმა "ტერამომ" "ორლანდინოსთან" 20 ქულის სხვაობით წააგო (76:96).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ მარცხში ნიკას ყველაზე ნაკლები ბრალი მიუძღვის. პირველ მეოთხედში ქართველმა მეფარემ 6 ქულა მიითვალა და მოედანი რომ დატოვა, მისი "ტერამო" 17:23 აგებდა. მეორე მეოთხედში მწვრთნელს **მა**სიმო ბიანკის ცქიტო სათადარიგოთა სკამიდან არ აუყენე-ბია და დიდ შესვენებაზე "ორლანდინო" 16-ქულიანი (52:36) უპირატესობით გავიდა. საბოლოოდ, "ორლანდინომ" მეხუთე მატჩი მოიგო და სატურნირო ცხრილში "ტერამოს" გაუთანაბრდა. 9-9 მატჩში ორივე გუნდს 10-10 ქულა აქვს და მეშვიდე-მერვე ადგილს იყოფს.

დაბოლოს, "ტერამო 22-ქულიან მარცხს ნიკა ცქიტიშვილმა გადაარჩინა - მატჩის უკანასკნელი ორი ქულა მის ანგარიშზეა (96:76).



გუმინდელ ნომერში ვლადიმერ ბოისას 15-ქულიან და მარკოიშვილის 18-ქულიან თამაშზე გესაუბრეთ. მათ და ცქი-ტიშვილს არც **ტაირონ ელისი** ჩამორჩა, თავის წილად 19 ქულა ჩაინერა, ხოლო "კახასოლს" "ესტუდიანტესი" დაამარცხებინა - 86:72.

ამ შეხვედრის ბედი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როცა სევილიელებმა მადრიდელები 24:8 დაამარცხეს. ტაირონმა ორქულიანის ტყორცნა ერთხელ უშედეგოდ სცადა, რის შემდეგაც სამქულიანებს მიეძალა და 8-დან 5 ჩააგდო. 19 ქულის



ცქიტიშვილი ორლანდინოსთან მატჩში

პარალელურად 29 წუთში ელისის ანგარიშზე 3 მოხსნა, 4 პასი

ეს გახლდათ "კახასოლის" მეორე გამარჯვება მიმდინარე სეზონში(5 მარცხის წილ). შვიდი ტურის შემდეგ სევილიელები მე-13 პოზიციაზე არიან, ხოლო ვიქტორ სანიკიძის ყოფი ლი კლუბი "ესტუდიანტესი" უკანასკნელ, მე-18 ადგილზეა(1

გიორგი ცინცაკი სწორედ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდა, როგორშიც ნიკა ცქიტიშვილი - თანაგუნდელთა შორის საუკეთესო იყო, მაგრამ მისი კარგი თამაში "ტარტუ როკის" გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. "როკერებმა" ბალტიის ლიგაზე მეშვიდე თამაში ჩაატარეს და მეხუთე მარცხი იწვნიეს. ამჯერად ტარტუდან 2 ქულა ლატვიის "ბარონსმა" წაილო - 96:86.

მატჩის მოკლე მიმოხილვაში ყველაზე მეტჯერ (სამჯერ) მატიის მოკლე მიმონილვაში ყველა ზე მეტჯერ (სამჯერ) ქართული გვარია ნახსენები. ესტონელი ჟურნალისტის მტკი-ცებით, სტუმრებს სხვებზე მეტ წინაალმდეგობას გიორგი ცინცაძე უწევდა. სწორედ მისი ორქულიანის შემდეგ პირველი ტაიმის საბოლოო ანგარიში დაფიქსირდა - 46:44. მანვე მესამე პერიოდსაც დაუსვა წერტილი - 2 ქულა და 64:61. მეოთხე ათწუთეულში მასპინძლები ოდნავ მოდუნებულები გამოვიდნენ, რითაც "ბარონებმა" ისარგებლეს და 14:2 ააქავია მოაწყვის საბელთუ გამარავება ვისაც ლარჩა ჩი

გაქცევა მოაწყვეს. საბოლოო გამარჯვება ვისაც დარჩა, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე "როკის" მწვრთნელმა ულარ კერდემ სხვებისგან ცინცაძე, კუსვორსი და დორონინი გამოარჩია, მაგრამ იქვე დასძინა - ზედიზედ მეორე თამაშია 35 წუთს მაღალ დონეზე ვატარებთ, მაგრამ მატჩს ბოლო 5 წუთში ვაგებთო.

ბოლოს გიორგი ცინცაძის სრულ მონაგარს გავეცნოთ: 32 წუთში 15 ქულა (6-დან 5 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი), 3 მოხსნა და 6 პასი.

ვაჟა სიმონიშვილი

30000005600

366030500 NBA-30

ჅንჅን9 9ንሀ<u>e</u>ß ሀዉን9ን<u>9</u>ን

ბუშ∩ნ ამერიკული წყაროს მოშვე-ლეებით გნაუწყეთ, რომ **ზაზა ფაჩუ**ლიას წლევანდელი დებიუტი სამშაბათს, "შარლოტთან" უნდა შემდგარიყო, მაგრამ "ატლანტა ჰოქსის" თაკაცმა მაიკ ვუდსონმა სასიამოვნო სიურპრიზი შემოგვთავაზა - "ვაშინგტონ ვიზარდსთან" კვირის მატჩში ფაჩულია მოე-

დანზე მეათე ნუთზე შეუშვა.

NBA-ს მიმდინარე სეზონში ზაზას
პირველ შეხვედრას შთამბეჭდავს ნამდვილად ვერ დავარქმევთ, მან 2 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 3 შეცდომა ჩაიწერა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყველაფერი 7 წუთში მოასწრო, აუგის სათქმელადაც ვერ მოგვიბრუნდება ენა. მითუმეტეს, რომ ფაჩულიამ იდაყვისა და მუხლის ტრავმები ახლახან მოიშუშა.

ქართველი ცენტრის თამაშზე მციკომენტარი "ჰოქსის" მთავარმა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა გააკეთა. მისი თქმით, ზაზას "ვაშინგტონთან" თამაში გასახურებლად სჭირდებოდა და როცა იმ კონდიციებს დაუბრუნდება, როგორშიც საგამოფენო მატჩებისას იყო, სასტარტო შემადგენლობაშიც მაშინ დააყენებს, მანამდე კი ძირითადი მეფარე დრაფტის მე-3 ნომერი ელ ჰარფორდი იქნება. ამ უკანასკნელმა "ვი-ზარდსთან" 35 ნუთში 9 ქულა და 10

მოხსნა მიითვალა. ახლა ორიოდე სიტყვა უშუალოდ შეხვედრაზე ვთქვათ. "ატლანტამ" მიმდინარე სეზონში მეოთხე მატჩი წააგო (ექესიდან). დედაქალაქელმა ფორვარ-დებმა ბატლერმა და ვკეიმისონმა შესაბამისად 24 და 23 ქულა ჩააგდეს და "ვა-შინგტონს" ჩემპიონატში პირველი მატჩი მოაგებინეს - 101:90.

"ჰოქსის" თავკაცი პირველ რიგში უკანახაზელებით იყო უკმაყობილო, რისი საფუძველიც ნამდვილად ჰქონდა - ორმა გამთამაშებელმა ეისი ლოუმ და ტაირონ ლიუმ ჯამში 2 ქულა ჩააგდეს. ვერც გუნდის ლიდერმა ჯო ჯონსონმა იყოჩაღა -11-დან 2 სამიანი და 24-დან 8 ორქულიანი გამოიყენა. მოკლედ, "ვაშინგტონმა" დამსახურებულად გაიმარჯვა და "ატლანტას" ისღა დარჩენია სატურნირო მდგომარეობის გამოსასწორებლად "შარლოტ ბობქეთსს" დღეს ღირსეულად დაუხვდეს.

Ა&ᲚᲐᲜ&Ა-ᲕᲐᲨᲘᲜᲒ&ᲝᲜᲘ

ატლანტა: ლოუ (53), ჯ. ჯ.ონსონი (22ქ, 78, 53), ჯ. სმიტი (23ქ), მ. უილიამსი (20ქ, 128, 63), ჰარფორდი (9ქ, 108), ჩილდრესი (10ქ), ლიუ (2ქ), ზაზა ფაჩულია (7 ნუთი, 2 ქულა, 3 მოხს-

(გქ), ბანა ფარელი (7 ატარ, გქელა, ბარან ნა, 1 პასი, 3 შეცდომა, 2 ფოლი), სტაუდმაიე-რი (2ქ), შ. უილიამსი **ვაშინგტონი:** არენასი (18ქ, 63), სტივენ-სონი (11ქ), ჯეიმისონი (23ქ, 15მ), ბატლერი (24ქ, 6მ, 83), ჰეივუდი (13ქ, 12მ), სონგაილა (8ქ), დანიელსი (2ქ), ბლატჩე (2ქ)

ชงหวะรางน อเวององศก

1 33/4/17/20			
2:13	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ᲰᲐᲠᲤᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ		
1:54	მᲝᲮᲡᲜᲐ:1 (ᲨᲔᲢ:0, ᲓᲐᲪ:1)		
1:18	ᲝᲠᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲢᲧᲝᲠᲪᲜᲐ: ᲐᲠᲐᲖᲣᲡᲢᲘ		
0:43	ფოლი:1		
0:43	შეცდომა:1		
0:23	ᲛᲝᲮᲡᲜᲐ:2 (ᲨᲔᲢ:0, ᲓᲐᲪ:2)		
	II 30KNM@N		


9:49	ფოლი:2
9:49	შეც ღ ომა:2
9:49	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ ᲰᲐᲠᲤᲝᲠᲓᲛᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ
6:00	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐᲛ ᲰᲐᲠᲤᲝᲠᲓᲘ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ
4:42	შეც ღო მა:3
4:15	ᲝᲠᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲢᲧᲝᲠᲪᲜᲐ: 2Ქ (54:71)
3:58	მᲝᲮᲡᲜᲐ:3 (ᲨᲔᲢ:0, ᲓᲐᲪ:3)
3:53	35Un:1 (%M6UM6n 2d, 56:71)
3:42	ᲤᲐᲩᲣᲚᲘᲐ ᲣᲘᲚᲘᲐᲛᲡᲛᲐ ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ
3:42	8283502 305039093 9363953



გიორგი ცინცაძე

naanca





ხევში, საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში, ქირიკაშვილების გვარი ოდიდგანვე გამოირჩეოდა ვლელობის განვითარების პერსპექტივებზე. მთამსვლელობის სიყვარულითა და ერთგულებით. ნიკო ქირიკაშვილი ქართველი მთამსვლელობის პატრიარქი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში გახლდათ დევდორაკის ალპური ბანაკის შექმნის ინიციატორი და სულისჩამდგმელი. მეუღლე, ქალბატონი მარუსა, როგორც მას სიყვარულით მიმართავდნენ, მუდამ გვერდში ედგა და ოჯახში ხელს უწყობდა მთამსვლელობის ტრადიციების განვითარებას.

მათი ვაჟი, **ვახტანგ ქირიკაშვილი** სამოციანი წლების ქართველი მთამსვლელების ფლაგმანი, სპორტის ოსტატი, კავკასიონისა და პამირის მთიაენეთში შესრულებული ცნობილი ასვლების მონაწილე, მამის კვალს გაჰყვა. მისი ოჯახი მუდმივად მასპინძლობდა ექსპედიციებს და მალე მთამსელელობის ცენტრად გადაიქცა. საუბრობდნენ მომავალ ასვლებზე და საქართველოში მთამს-

ასეთ ტრადიციებზე გაიზარდა ნიკოს შვილიშ ვილი - **შალვა ქირიკაშვილი**, რომელსაც დღეს სამოცი წელი შეუსრულდა. ბატონ შალვას ვაჟკაცურ ბუნებასთან შერწყმული, დაუდეგარი, მკაცრი, სამართლიანი და ამავე დროს მეტად ფაქიზი ადამიანური თვისებები, მოყვასის სიყვარული, მის აღნაგობაზე და სახეზეა აღბეჭდილი. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა ქართველ კინემატოგრაფიას ათამდე მხატვრულ ფილმშია გადაღებული. ნიშანდობლივია, რომ ამ ფილმებში იგი შესანიშნავად აცნობს მაყურებელს მთიელი კაცის თვითმყოფად ბუნებას.

შალვა ქირიკაშვილი ახალგაზრდობაში გამოირჩეოდა როგორც მეკლდეურობაში, ასევე მთამსვლელობაში. ნარმატებით მონანილეობდა ასვლებში კავკასიონზე და პამირის მთიანეთში. თავისი დაუდგრომელი ბუნების გამო, მთამსვლელობის გარდა, გატაცებული იყო ნადირობით, თევზაობით, ჯირითით.

საოჯახო და საგვარეულო ტრადიციას აგრძლებენ ბატონ შალვას ვაჟები ვახტანგი, ლევანი და თემური, რომლებიც სამთო-სათხილამურო და სამთო ტურიზმის სფეროში არიან ჩაბმულები და ხევის პატარძლის - "მყინვარნვერის" ექსპედიციების საუკეთესო ორგანიზატორები და გამყოლები არიან.

ეჭვი არ არის, რომ ამ ყველასათვის საპატივისცემლო კაცის შვილიშვილი, 10 წლის პატარა შალვაც გაჰყვება დინასტიის ნაკვალევს და კიდევ უფრო გააბრწყინებს ქირიკაშვილების გვარს.

დაილოცოს შალვა ქირიკაშვილი, არ მოაკლოს და უმრავლოს საქართელოს მისნაირი კაცები.

> しᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ 36M367E0 932236, V305




13 6M383560 W88383000 2007



JMARARA GUARARANGARANGA

e le commentation de la constant

LJam



კოკაი როპოს წინააღმდეგ

EMOJAKAN JASAM

Macme JJMAUSC 334UNJE 6779U

კუნძულ კიუშუს ბაშო, რომელიც სუმოს დიდი ტურნირების წლის სერიის უკანასკნელია, სენსაციურად დაიწყო პირველ დღესვე წააგო დიდმა ჩემპიონმა ჰაკუჰომ. მონღოლს კომუსუბის რანგის ფალავანმა კოტოშოგიკუმ აჯობა. პირველ დღეს დამარცხდა ორი ოძეკიც, კაიო და კოტომიცუკი. შეგახსენებთ, რომ დისკვალიფიკაციის გამო ტურნირს დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** ტოვებს. მეორე დღეს სენსაცია ნაკლები იყო, თუმცა ამჯერად ბულგარელმა კოტოოშუმ ნააგო.

ქართველი ფალავანი ლევან ცაგუ-(კოკაი) კარიერაში პირველად არის საკმაოდ დაბალი რანგით, ის აღმოსავლეთის მეცამეტე მაეგაშირაა. საბოლოო უარყოფითი ბალანსი კოკაის, შესაძლოა, დივიზიონის დატოვებად დაუჯდეს. პირველ ორ დღეს კოკაის მეტოქეები ძმები ბორაძოვები (სოსლანი და ბათრაზი) იყვნენ, ჯერ უმცროსი როჰო, რომელსაც ქართველმა იორიკირის ილეთით აჯობა, შემდეგ კი - უფროსი **ჰაკუროძანი**, რომელთანაც ამავე ილეთით დამარცხდა. ორი დღის შემდეგ კოკაის ნულოვანი ბალანსი (1-1) აქვს, მისი შემდეგი მეტოქე მე-11 მაეგაშირა ტოსანოუმია.

მესამე დივიზიონ მაკუშიტაში ერთადერთი ქართველი დარჩა, **ლევან** გორგაძე (ტოჩინოშინი), რომელიც პირველი ნომერია და დადებითი ბალანსის დაბევების შემთხვევაში მეორე ელიტარულ დივიზიონ ძურიოში გადა-ვა. ტოჩინოშინმა კიუშუს ბაშო ბრწყინ-ვალედ დაიწყო, მან ჩინელი **სოკოკუ**რაი დაამარცხა. ოშიდაშით გაიმარჯვა თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ), რომელიც მეოთხე დვიზიონში (სანდანმე)

დაქვეითდა. სანდანმეს მე-12 ნომერმა გაგამარუმ მორი დაამარცხა. დღეს ტოჩინოშინი მაკუშიტას მეორე ნომერ ტამავაშის შეხვდება, რომელმაც აგრეთვე მოგებით დაიწყო კიუშუს ბაშო.

ნიკოლოზ ნეფარიძე

LECE ACECUF 6777384716 67777487746747

11-25 6M0830KN, 3777M35 (NS3M6NS)

11-25 ნოემგერი, ფუკუოკა (იაპონია)

I ৩ლე მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-როპო 1:0 (იორიკირი), კოტოშოგიკუპაკუპო 1:0, ამა-კოტოშიცუკი 1:0, ჩოტაიკაი-ჰომაშო 1:0, კოტოშიცუკი 1:0, ჩოტაიკაი-ჰომაშო 1:0, კოტოშიცუკი 1:0, კისენოსატო-კაიო 1:0, დეჯიშა-ამინიშიკი 1:0,
ასასეკირიუ-კაკურიუ 1:0, ტოკიტენკუ-კი"კუტენპო 1:0, ტოიონოშიმა-ტაკეკაძე 1:0,
გამანოშიმა-კასუგაო 1:0, ტოჩინონადაგოეიღო 1:0, ვაკანოსატო-ტოიოპიბიკი 1:0,
გაკამისაკარი-ტამაკასუგა 1:0, პოკუტორიკი-ფუტენო 1:0.

II ৩ლე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაუროძანი 0:1 (იორიკირი), ჰაკუჰოჰომაშო 1:0, ჩიოტაიკაი-კოტოშოგიკუ 1:0,

კაი-4აკუროძახი ს: I (იორიკირი), პაკუპო-პომაშო 1:0, ჩიოტაიკაი-კოტომოგიკუ 1:0, ამა-კოტოომუ 1:0, კაიო-მიაბიამა 1:0, კო-ტომიცუკი-კისენოსატო 1:0, დეჯიმა-ასა-სეკირიუ 1:0, ამინიშიკი-კაკურიუ 1:0, ტაკე-კაძე-ტოკიტენკუ 1:0, კიოკუტენპო-ტოიო-ნოშიმა 1:0, გოეიდო-კასუგაო 1:0, ტამანო-შიმა-ტოიოპიბიკი 1:0, ტაკამისაკარი-ტო-ჩინონაკოა 1:0, გა კანოსაგო-ტამა კასუგა 1:0. ჩინონადა 1:0, ვაკანოსატო-ტამაკასუვა 1:0, ფუტენო-იოშიკაძე 1:0,ტოსანოუმი-ჰოკუ-

ტორიკი 1:0.

III ᲓᲚᲔ მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ტოსანოუმი, ჰაკუჰო-მიაბიამა, კოტოოშუ-ჰომაშო, კაიო-კოტოშოგიკუ, კოტომიცუკი-დეჯიმა, ჩიოტაიკაი-კისენოსატო,
ამინიშიკი-ტოკიტენკუ, ასასეკირიუ-ამა,
ტოიონოშიმა-კაკურიუ, კიოკუტენჰო-ტაკეკაძე, კასუგაო-ტოჩინონადა, ტამანოშიმა-გოვიდო, ტაკამისაკარი-ტოიოჰიბიკი,
ვაკანოსატო-ფუტენო, ჰოკუტორიკი-ტამააასუგა.

necasce

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲙᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲐ

7 ნოემგერს თელავს საჭადრაკო კლუბი "თამარი" შეემატა. კლუბი ცნო-ბილი ქართველი მოჭადრაკის, **თამარ** ხმიადაშვილის სახელობისაა. ქალბატონი თამარი თელავში დაიბადა და ამ ქაკაქში შეისწავლა ჭადრაკი, წარმატებული კარიერაც გამოიჭედა და ისტორიაშიც საკუთარი კვალი დატოვა. იგი 1981 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია, საქართველოს სამგზის ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული. პროფესიონალური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, აქტიურად მონაწილეობდა და დღესაც თა-მაშობს სენიორთა ტურნირებში, წარმატებითაც: სენიორთა შორის სამგზის მსოფლიო ჩემპიონი და შვიდგზის ვერცხლის მედალოსანია.

პარალურად სამწვრთნელო საქმიანობასაც მისდევს და ამ საქმეშიც შესანიშნავი შედეგები აქვს: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის აღზრდილები არიან დიდოსტატები: ანა მათნაძე, ბელა ხოტენაშვილი, ლელა ჯავახიშვილი, მაკა ფურცელაძე, პერსპექტიული, ნიჭიერი გოგონა ქეთი ნაწალაშვილი. ამ გოგონებთან ქალბატონი თამარი ადრეულ წლებში თელავში მუშაობდა, ახლა კი თბილისში მოღვანეობს.

თელავში ჭადრაკმა პოპულარობა დამსახურებული საქართველოს მწვრთნელის, გოგი ელიოზიშვილის ენთუზიაზმის შედეგად მოიპოვა. ქალბატონი თამარიც ბატონი გოგის აღზრდილია – მისი პირველი მოწაფე. ქალაქში საჭადრაკო სკოლა 1988 წელს, ფიდეს მაშინდელი პრეზიდენტის ფლო-რენსო კომპომანესის ხელშეწყობით, ფიდეს სახსრებითვე აშენდა. შენობა საკმაოდ ვრცელია – ორსართულიან შენობაში ჭადრაკისა და შაშის მრავალი ჯგუფი მუშაობდა და სპორტული ცხოვრებაც დუღდა. შემდეგ, 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ქვეყანა გავერანდა, ამ სკოლასაც მოაკლდა ყურადღება და ნელ-ნელა შეილახა, ბოლოს კი ფუნქციონირებაც შეწყვიტა.

სკოლის აღდგენის იდეა დიდი ხანია, არსებობდა, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა არავის უთავია. თუმცა გამოჩნ-



თამარ ხმიადაშვილი გახსნის ცერემონიალზე

და თელაველი კაცი, ძველი მოჭადრაკე ბატონი ჯიმი ჯავახია, რომელმაც ხორცი შეასხა ამ იდეას და ამ საქმეში დიდად ემადლიერება თელავის გამგებელს ზურაბ ბუცხრიკიძესა და სპორტის სამსახურის უფროსს მიხეილ დახუნდარიძეს – მათი მონდომება რომ არა, ვინ იცის, როდის ავალორძინებდით სკოლასო.

სკოლის შენობა მართლაც შელახულია, წვიმის წყალიც ჩადის, მაგრამ მთავარია, რომ შენობა მთლიანად საჭადრაკო სკოლას გადაეცა და ისევ და ისევ ქალაქის სამსახურებისა და სპონსორთა დახმარებით გარემონტდება.

სკოლას ბატონი ზურაბ როსტომაშვილი უხელმძღვანელებს.

საზეიმო ცერემონია უბრალო გახლდათ: საზეიმო ლენტის გაჭრა და საპატიო სტუმართა მილოცვები. ავადმყოფთბის მიუხედავად ბატონი გოგი ელიოზიშვილიც მობრძანდა. გახსნას დაესწრო ქეთი წაწალაშვილი, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორია 14-წლამდელთა შორის. ამის აღსანიშნავად მას მცირე საჩუქარი – წმინდა გიორგის ხატი გადაეცა.

ქალბატონმა თამარმა სკოლას საჩუქრად ორი თასი გადასცა - ერთ-ერთი ბატონი გოგი ელიოზიშვილის სახელობის ტურნირის გამარჯვებულს გა-დაეცემა, რომელიც უახლოეს მობავალში გაიმართება

შეხვედრაზე გახმოვანდა ერთი იდეაც – შეიქმნას ქალთა კლუბი "კახეთი", რომელიც საერთაშპრისო ტურნირებში, ძირითადად, ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. იდეა შესანიშნავია და თუკი ამ გუნდის შექმნა მოხერხდება, საკმაოდ დიდი ნაბიჯი იქნება საქართველოში საკლუბო ჩემპიონატის განვითარებაში. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კახეთი" საკმაოდ ძლიერი გუნდი იქნება და დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ტრადიციულად ჩატარდა ერთობღივი თამაშის სეანსი, რომელშიც ქეთი წაწალაშვილმა და ქალბატონმა თამარ ხმიადაშვილმა მიიღეს მონაწილეობა. ქეთიმ უმცროსი თაობის მოჭადრაკეებს შეუმოწმა ცოდნა, ქალბატონი თამარი კი ვეტერანებს დაუპირისპირდა. შეხვედრა ამით დასრულდა და როგორც ქართული წერია, სიახლე ტრადიციულად, სუფრაზე დალოცა. ჩვენ დავულოცოთ გზა "თამარს" და წარმატებები ვუსურვოთ!

> ზვიად შათირიშვილი **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ-ᲗᲒᲘᲚᲘᲡᲘ**

mannen

ბუხუტი გურგენიძე. დაიბადა 13.11.1933, სურამი. ჭადრაკი. პირველი ქართველი საერთაშორისო დიდოსტატი (1970). საქართველოს 11-გზის ჩემპიონი (1958-65, 68, 70, 73), სრკ ჩემპიონატის ფინალური ეტაპის 9-გზის მონაწილე, სტუდნტთა მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში ორგზის გამრაჯვებული (1957, 58). ნანა ალექსანდრიას და სხვა ცნობილი დიდოსტატების მწვრთნელ-სეკუნდანტი, საქართველოს (1968) და სსრკ (1970) დამსახურებული მწვრთნელი. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და თბილისის ჭადრაკის სასახლის დირექტორი (1987-93).



603606 003600

ᲡᲔᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲡᲐᲛᲗᲝ **ᲒᲐᲛᲧᲝᲚᲘᲡᲗ**ᲕᲘᲡ



პირპილი შემთხვევა არ არის, როცა საქართვლეოში ევრაზიის ფონდი უაღრესად საჭირო ლიტერატურის გამოცემებს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სახსრებით აფინანსებს ტურიზმის სფეროში. ამჯერად ფონდის დახმარე-ბით დაისტამბა ილუსტრირებული დამხმარე სახელმძღვანელო სამთო ტურიზმში გამყოლთათვის.

